ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 29 თებერვალი 1920 წ.

ერთობა

ფასი 3 მანეთი

ფასი დღიურ 1 თვით 75 მანეთი, ცალკე ნომრის 3 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 5 მანეთი. მეოთხე გვერდზე 4 მან. ხანგრძლივი განცხადება შეღავათიანი. [illegible] 15×3 სტრიქონის [illegible] 100 მანეთი. [illegible] ცნობებისათვის არ [illegible]. რედაქცია და კანტორის ადრესი: კრუზენშტერნის ქ. 4, შესასვლელი რუსთაველის ქუჩის № 18-იდან.

№ 48 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციების № 48

უსაზღვრო მწუხარებით გარემოცულნი და გულ დათუთქულნი: ილია თევდორეს ძე დოლიძე და ივანე ზოსიმეს ძე ხუბულავა აუწყებენ ნაცნობ მეგობრებს [illegible] ამხ. ნაცნობის

ხალამბრე ელიზბარის ძე მეგრელაძის

უდროოთ გარდაცვალებას, რომლის დაკრძალვა მოხდა ქ. სოხუმში 27 თებერვალს. (726—1—1)

დამწუხრებული შვილები: დავით, ნინო და ლუკა ნახუცრიშვილები, მარიამ ნეიმანისა და ეკატერინე ქოქრაშვილისა, აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ დღეს, 29 თებერვალს, სამხედრო ტაძარში გადახდილი იქნება სამი თვის თავის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულ მათი დედის

ანნა ლუკას ასულის ნახუცრიშვილის

სულის მოსახსენებლად (733—1—1)

განუსაზღვრელ მწუხარებაში მყოფი პლატონ ანტონის ძე ჯიბუტი გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს მისი ძვირფასი და დაუვიწყარი ნათლი დედის

სონა დოლიძის ასულის ჯიბუტის

უდროოდ გარდაცვალებას. (740—1—1)

გულდათუთქული დედა ნატალია ანდრიას ასული, ძმა ალექსანდრე და რძალი ევგენია მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მათი საყვარელი, დაუვიწყარი შვილისა და დის მასწავლებლის

ეკატერინე გრიგოლის ასულის გარამოვის

უდროოდ გარდაცვალებას. პანაშვიდები ყოველ დღე. გამოსვენება საკუთარ ბინიდან, (ძველი თუმანოვის ქ., № 18) კვირას, 29 თებერვალს, დილის 10 საათზე, ვანქის სობოროში. დაკრძალვა ხოჯივანქის სასაფლაოზე. (734—1—1)

ღრმად დამწუხრებულნი, გულ დათუთქულნი ძმა რაფიელ, რძალი ანიჩკა, მისი შვილი სარდიონ და ძმისწული [illegible] აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი

ფილიპე საბას ძე ფაფავა

დაკრძალვა მოხდება ძმათა სასაფლაოზე კვირას, 29 თებერვალს ახალი სტილით. მიცვალებულის ცხედარი გამოსვენებული იქნება 41 № სახალხო გვარდიის სამლოცველოდან დილ. 10 ს. (741 1—1)

გულდათუთქული და სონა თავის ქმრით მიხა [illegible], დედა [illegible] მამუკას ასული ქავთარაძისა, დისწულები: ეკატერინე ქმრით ბაგრატ კრიალაშვილით, ლიდია თავის ქმრით [illegible], ქეთო და გიგი ლომთათიძეები ამით აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ, რომ მოსკოვში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

სამსონ იაგორის ძე დიმიტრაძე

(753 1—1)

ღრმად დამწუხრებულნი [illegible] აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ ქ. მოსკოვში 1918 წ: მათთვის დაუვიწყარ მე-4 კურსის სტუდენტის

ნიკოლოზ ნესტორის ძე სისორდიას

უდროოდ გარდაცვალებას. პანაშვიდი კვირას, 29 თებერვალს 1 ნახ. საათზე ქაშვეთის ეკლესიაში. (742 1—1)

ღრმად დამწუხრებულნი: მამა სოლომონ, მეუღლე კლავა, შვილები: ზინა, ნინო და [illegible], და დომნა, სიძე [illegible], ძმები: ნესტორი, ერასტი და კონონი, ბიძა ესტატე, [illegible] აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი ინჟინერ-მექანიკის

პარმენ სოლომონის ძე მეიშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ს. ხუნწულებში (სამტრედიის რაიონი) 2 მარტს, ნაშუადღევის 3 ს. მიცვალებული წასვენებული იქნა ქ. თფილისიდან 27 თებერვალს თავის სოფელში. (706 2—2)

გორის მაზრაში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარე მთავრობის განსაკუთრებულ კომიტეტის დადგენილებით დაქვემდებარებული აქვს საქ. რესპ. ქალაქთა კავშირის

კომერციულ განყოფილებას

სწრაფად დაზარალებულ მცხოვრებლებისათვის საჭირო ტანსაცმლები. აცხადებს რა ამ დავალების ქალაქთა კავშირი სთხოვს ყველა დაწესებულებას და კერძო ფირმებს, ვისაც კი მოეპოვება ასეთი შეატყობინოს კომერციულ განყოფილებას (გოლოვინის ქ. 51 ტელეფ. 11—54) პირობები და ფასები, რომლითაც შესაძლებელი იქნება ამ ნივთების განსაკუთრებული კომიტეტის განკარგულებაში გადაცემა. ნივთების დასათვალიერებლად ქალაქთა კავშირიდან გაიგზავნება აგენტები წერილობითი ან პირადი განცხადების თანახმად.

შემოწირულება: ტანსაცმლები და პროდუქტები მიიღება განსაკუთრებულ კომიტეტის დავალებით იქვე. (ნ. 3—1)

ს. ს. დ. მ. პ. თფილისის სამაზრო კომიტეტი

გადავიდა ახალ ბინაზე

კრუზენშტერნის ქ. № 4. რუსთაველის პრ. № 18 შესასვლელი მეოთხე სართულში. „მშრომელის" რედაქც. შენობაში. (უფ. 4—3)

დამფუძნებელი კრების ცენტრალური საარჩევნო საპარლამენტო კომისია

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ დამფუძნებელი კრების დამატებითი არჩევნები აფხაზეთსა (სოხუმის ოლქში) და რესპუბლიკის იმ ადგილებში, სადაც რაიმე მიზეზის გამო წინა არჩევნები არ მომხდარა ან გაუქმებულია, დანიშნულია ამა წლის მარტის თვის 27-ს, 28-ს და 29-ს.

დამფუძ. კრების ცენტრ. საპარლამენტო საარჩევნო კომისიის პრეზიდიუმი.



პოეტის გალაკტიონ ტაბიძის საღამო

სახელმწიფო თეატრში

ოთხშაბათს, 3 მარტს

ივანე გომართელი

წარმოსთქვამს სიტყვას გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის შესახებ.

პოეტები, მწერლები:

აბაშელი საშა
ბარნოვი ვასილი
გრიშაშვილი იოსებ
დადიანი შალვა
დადიანი შოთა
ინგოროყვა პავლე
მაყაშვილი კოტე
მეგრელი დუტუ
რუხაძე ვარლამ
რამიშვილი ტრიფონ
ტაბიძე გალაკტიონ
შარაშიძე შალვა
შიუკაშვილი ნიკო
ქუჩიშვილი გიორგი

წაიკითხავენ ლექსებს, მოთხრობებს, ნოველებს.

ალეკო

ოპერა ერთ მოქმედებად, მუსიკა რახმანინოვისა. ვანო სარაჯიშვილის, ალეშკოს, ოვსიანიკოვის, პოლიაევისა და ისეცკის მონაწილეობით. დასდგამს ეშლახოვი. დირიჟორობს კორშუნი

კავალერიის ბანაკი

ბალეტი 1 მოქმ.

პრიმა-ბალერინა **ზაუერზაკსი**

ბალეტ-მეისტერი **ვაკარეცი.**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ბილეთები იყიდება სახელმწიფო თეატრის კასაში.

დაწვრილებით პროგრამებში. (ნ. 7—4)

კვირას, 29 თებერვალს, დილის 11 საათზე

თფ. სახელმწიფო უნივერსიტეტის I აუდიტორიაში გამართება ამავე უნივერსიტეტის სტუდენტ-მსმენელთა

საერთო კრება

დღის წესრიგში: 1) გამგეობის მოხსენება, 2) სარევიზიო კომისიის მოხსენება, 3) წესდების ზოგიერთ მუხლის შეცვლა, 4) გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

(730 1—1) გამგეობა

წითელი ჯვრის საზოგადოების მთავარი სამმართველო

ამით აცხადებს, რომ მან გახსნა [illegible] ამბულატორია (26 მაისის ქ. № 60, [illegible] № 3). ამბულატორია ღია ყოველ დღე [illegible] 10—12 საათ. [illegible] დღისა. საავადმყოფოს შესახებ დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება [illegible] (687—6—3)

მეორე ქართული კლუბის მამასახლისთა საბჭო

აცხადებს, რომ კვირას, 29 თებერვალს, დილის 10 საათზე დანიშნულია კლუბის წევრთა

წლიური საზოგადო კრება

განსახილველი საგანი: საბჭოს მოხსენება წლის მოქმედებისა, 2) წლიური ანგარიში, 3) მოხსენება სარევიზიო კომისიისა, 4) ურთიერთობის დამხმარე კასის ინსტრუქცია და სხვა მიმდინარე საკითხები, 5) არჩევნები: მამასახლისებისა, სარევიზიო კომისიისა, კლუბის წევრთა და კანდიდატთა. (ნ. 1—1)

საქართველოს კოოპერატიული ბანკის

საორგანიზაციო კომიტეტი აუწყებს ბანკის აქციონერებს, რომ, ამ წლის 14 მარტს ქ. თფილისში, ცენტრალურ კოოპერატიულ კავშირის შენობაში (კოოპერაციის ქუჩ. № 15) დილის 10 საათზე დანიშნულია საქართველოს კოოპერატიული ბანკის აქციონერთა პირველი

საზოგადო კრება

დღის წესრიგი 1) მოხსენება საორგანიზაციო კომიტეტისა, 2) საქციონერო თანხის გადიდება, 3) წესდების 49 მუხლის შეცვლა, 4) ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება. 5) გამგ. და საბჭოს არჩევნები. 6) მიმდინარე საკითხები. წესდების 45—50 მ. ძალით ყოველ კოოპ. დაწესებულებას, რომელსაც აქვს ორი აქცია, უფლება აქვს დაესწროს საზოგადო კრებას გადამწყვეტი ხმის უფლებით. ბანკის აქციონერთ შეუძლიათ ხმის უფლება გადასცენ სხვა აქციონერებს, რომელთაგანაც არავის არ შეუძლია ორზე მეტი რწმუნება იქონიოს. რწმუნება ხმის უფლების გადაცემის შესახებ ეძლევა წერილის ფორმით, რომელიც უნდა წარმოდგენილ იქნეს სამი დღით ადრე საზოგადო კრებამდე (ნ. 2—1)

მკურნალობს ექიმი

ივ. ღუღაძე

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა, მიიღებს საღამოს 5—7 საათ. სემინარიის ქუჩა, სახლი № 3, ბინა № 5, მიხაილოვის პროსპექტის შესახვევში. (674 2—2)

ექიმი ბ. ი. ოქრომჭედლიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. რუსთაველის ქუჩა № 22, სოლოლაკი. (ნ. —ო.)

თუ გინდა რამე იცოდე

აფხაზეთში დენიკინის მიერ დატყვევებულ

ესევი ჩიქვანიას

შესახებ [illegible] მიაწოდოთ [illegible] გულდამწყვარ დედას ქრისტინე ჩიქვანიას. (729—6—1)

გაზ. „აზერბეიჯანის" აზრი ბათუმის საკითხზე

ამის წინათ ჩვენ ის აზრი გამოვთქვით, რომ ბათუმის საკითხის გადაჭრაში პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ეძლევა იმას, თუ რა აზრისა იქნებიან მის შესახებ თვით ამიერ-კავკასიის სახელმწიფონი. ამ საკითხის სამართლიანად გადაჭრა მით უფრო ადვილი გახდება, რაც უფრო ერთსულოვნად და შეთანხმებით გამოვლენ ამიერ-კავკასიის სახელმწიფონი საერთაშორისო პოლიტიკის მესვეურთა წინაშე. ამიტომ მეზობლებთან შეთანხმება ბათუმის ბედის შესახებ, ჩვენი უპირველესი საზრუნავი უნდა იყოს.

სომხეთის ოფიციალური წრეების აზრი ამ საკითხის შესახებ ჩვენ ჯერ-ჯერობით არ ვიცით, მაგრამ ჩვენ ვიცით, როგორ უყურებს მას სომხეთის ყველაზე გავლენიანი პარტია—„დაშნაკცუთიუნი:" როგორც ამ პარტიის ოფიციალური ორგანო „აშხატავორი", ისე მისი აზრების არა-ოფიციალური გამომხატველი გაზ. „სლოვო" ბოლოს და ბოლოს გადაჭრით აცხადებენ იმ აზრს, რომ ერთად-ერთი სამართლიანი, მიზან-შეწონილი და მთელ ამიერ-კავკასიისათვის ხელსაყრელი გადაჭრა საკითხისა იქნება ბათუმის და მის ოლქის საქართველოს ხელში გადაცემა.

რაც შეეხება აზერბეიჯანს, მის მმართველ წრეებს არ უთქვამთ ჯერ-ჯერობით თავისი გადამწყვეტი სიტყვა ბათუმის შესახებ. ჩვენ ხელთ არის მხოლოდ სიტყვა, წარმოთქმული აზერბეიჯანის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის უსუბბეკოვის მიერ აჭარლების ბანკეტზე: ამ სიტყვაში ბ. უსუბბეკოვმა გადაჭრით უთხრა აჭარლებს, ბათუმი და აჭარა საქართველოს უნდა შეურთდეს, მეტი არავითარი გზა არ არისო. მაგრამ ჯერ-ერთი ეს არის სიტყვა წარმოთქმული ბანკეტზე, მეორე—ბ. უსუბბეკოვმა იგი წარმოსთქვა 3 თვის წინ, ესე იგი იმ დროს, როდესაც ბათუმის საკითხი არ იდგა ისე მწვავედ; მაშასადამე, ჩვენ მაინც არ ვიცით აზერბეიჯანის მმართველ წრეების დღევანდელი აზრი ამ საკითხზე.

მით უმეტეს უნდა ვეცადოთ რომ ბათუმის საკითხში აზერბეიჯანთან სრული თანხმობა და ერთსულოვნება დავამყაროთ და დღეს [illegible] ყველაფერს ის, რაც ხელს შეუშლის ამ თანხმობას და ერთსულოვნებას. ამიტომ ჩვენ უდიდესის ყურადღებით ვადევნებთ თვალყურს ყოველისფერ იმას, რაც კი აზერბეიჯანის გავლენიან წრეებში გამოითქმის ბათუმის საკითხზე და რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს ჩვენს მიერ დასახულ შეთანხმების მიზანს.

ასეთ მნიშვნელოვან გარემოებად მიგვაჩნია ჩვენ ის პოზიცია, რომელიც დაიჭირა ბათუმის საკითხში გაზეთმა „აზერბეიჯანმა".

გაზეთის საბოლოო აზრი ბათუმის საკითხის შესახებ მდგომარეობს იმაში, რომ „ბათუმის პორტს საბოლოოდ უნდა მიეცეს თავისუფალი პორტის ხასიათი, ეს იქნება ერთად-ერთი წესიერად გადაჭრა საკითხისა". ასეთია „აზერბეიჯანის" პოზიცია, და აზერბეიჯანის გავლენიან წრეების ნამდვილი განწყობილების გამოსარკვევათ ყველაზე საყურადღებოა ის მოსაზრებანი, რომლითაც იგი ამ პოზიციას ასაბუთებს. გაზეთი გრძნობს, რომ ბათუმის საკითხის დაყენება პოლიტიკურ ნიადაგზე მას ფეხქვეშ გამოაცლიდა ყოველს ნიადაგს, ამიტომ ის არჩევს ეს საკითხი ეკონომიურ ფარგალში მოამწყვდიოს. „ჩვენს ყურადღებას იპყრობს, ამბობს „აზერბეიჯანი", არა ეს თუ ის ტერიტორიალური ცვლილებანი, ჩვენს წინაშე დგას კითხვა წმინდა ეკონომიური, რომელიც ერთნაირათ ეხება ამიერ-კავკასიის ყველა ხალხებს, ეს არის საკითხი ბათუმის პორტისა".

მაშასადამე ქალაქ ბათუმისა და აჭარის სახელმწიფოებრივი რაობის საკითხი, მის მცხოვრებთა სახელმწიფოებრივი მდგომარეობის საკითხი გაზ. „აზერბეიჯანმა" მიაფუჩეჩა, ყურადღების ღირსადაც კი არ მიიჩნია და პირველ ადგილზე დააყენა საკითხი კომერციულ-ეკონომიური; სხვანაირათ რომ ვთქვათ, სახელმწიფოებრივ მხარეს ამ საკითხისა მან ამჯობინა მატერიალურ-ეგოისტურ მხარეს. ეჭვი არ არის, ეკონომიურ-კომერციულ ინტერესებს სახელმწიფოს ცხოვრებაში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ არა გვგონია რომელიმე პოლიტიკური მოღვაწისათვის მისაღები იყოს მათი პირველ ადგილზე დაყენება.

და თუ „აზერბეიჯანი" ამას სჩადის, მას ამისათვის აქვს თავისი საფუძველი: ბათუმის საკითხის გადაწყვეტაში პოლიტიკურ ნიადაგზე რომ გადავიტანოთ მსჯელობა, აზერბეიჯანის მესვეურნი არ შეიძლება არ დაგვეთანხმონ, რომ

დღეს

ინგლისური პრესის ცნობით საბჭოთა რუსეთი თანახმაა მოახდინოს წითელი ჯარის დემობილიზაცია, უკეთუ მოკავშირენი საბჭოთა რუსეთს საზღვრების ხელშეკრულობის გარანტიას მისცემენ.

ჩიჩერინმა წინადადებით მიმართა შეერთებული შტატების, იაპონიის, რუმინეთის და ჩეხოსლოვაკიის მთავრობებს საზავო მოლაპარაკების დაწყების შესახებ.

საფრანგეთის რკინის გზათა ზოგიერთ ხაზებზე გაფიცვაა.

ბოლშევიკების ცნობით ლატვიის მთავრობამ გადასწყვიტა დაიწყოს საზავო მოლაპარაკება რუსეთთან.

ადერბეიჯანი ვერავითარ პოლიტიკურ პრეტენზიებს ვერ გამოაცხადებს ბათუმზე და აჭარაზე: სახელმწიფოებრივათ ეს იქნებოდა მტკნარი აბსურდი, რომ ვისმეს ეფიქრა ადერბეიჯანთან შეერთება აჭარის და ბათუმისა, რომელსაც არც ტერიტორიალურათ, არც გეოგრაფიულად, არც კულტურულად, არც ისტორიულად, არც ეთნოგრაფიულად, არც სტრატეგიულად არაფერი საერთო არა აქვს ადერბეიჯანთან; მაშასადამე „აზერბეიჯანისთვის" ხელსაყრელია ყველა ამ სახელმწიფოებრივ მოსაზრებიანობის მიჩქმალვა და კითხვის გადატანა ერთად ერთ ეკონომიურ ნიადაგზე.

მაგრამ გავყვეთ უკან გაზეთს და დავუგდოთ ყური, როგორ ასაბუთებს იგი თავის პრეტენზიებს ბათუმზე.

„ბათუმის პორტი თავის ეკონომიური მნიშვნელობით, მეტადრე დღეს, აინტერესებს აზერბეიჯანს, რომლისაც მთელი ევროპის ყურადღება მიპყრობილია ბაქოს ნავთზე". „ბაქო-ბათუმი—ეს ორი მომენტია ერთი მთლისა და ერთის უმტკივნეულო არსებობა შეუძლებელია უმეორეოდ". ბათუმში ბაქოს ნავთსაწყობებია გამართული, ბათუმში ნავთსადინარის—უკანასკნელი სადგურია, მაშასადამე, ბათუმის პოლიტიკური არსებობის საკითხის საუკეთესო გადაწყვეტა იქნება მისი ნეიტრალიზაცია, მისი გადაქცევა საერთაშორისო ქალაქად. ასეთია აზრი იმ პოზიციის, რომელზედაც „აზერბეიჯანი" დგას.

უნდა გამოტეხილი ვთქვათ, რომ ასე საკითხის დაყენება უზრდელობაა: რაც უნდა თავშეკავებული იყოს იმპერიალიზმი, რაც უნდა მდიდარი ანგარება ამოძრავებდეს მას, იგი იმდენს კულტურობას მაინც იცავს, რომ საკითხს ასე არ აშიშვლებს და პირდაპირ არ ამბობს: მე კაპიტალის შეძენა მინდა და ამიტომ ძირს ყოველი სხვა მოსაზრება, ძირს პოლიტიკური საკითხები, ძირს ხალხის ინტერესები, გაუმარჯოს ერთად ერთ უფალს—კაპიტალსო. „აზერბეიჯანი" აშკარათ და დაუფარავად მიაქვს ბათუმის და აჭარის მცხოვრებნი „ნავთის კორიდორის" სამსხვერპლოზე!

საკითხის ასე დაყენება მაუწყებელია მადაგახსნილ მტაცებლობისა, რომელიც ჯიბის გასქელებისათვის არავითარ ხალხის სიცოცხლეს არ დაზოგავს, კითხვას ასე ვერ დააყენებს კულტურული მოღვაწე, რომელსაც პოლიტიკის ანბანი მაინც ესმის.

„აზერბეიჯანი", უეჭველია თავის თავს, ანგარიშს არც კი აძლევს, რა ლოლიკური შედეგი უნდა მოჰყვეს მის ამნაირ პოზიციას. ბაქოდან ნავთი გააქვთ არა მარტო ბათუმის გზით და ბაქოს ნავთის საწყობები გამართულია არა მარტო ბათუმში, არამედ ასტრახანშიაც, ვოლგის ქალაქებშიაც, კრასნოვოდსკშიაც და სხ. მაშასადამე „აზერბეიჯანის" მიდის ლოგიკა ყოფილიყო თუ მოვინდომებთ, ბაქოდან ნავთის მრეწველობის ინტერესების მიხედვით უნდა გადავაქციოთ მთელი ვოლგის და ამიერ-კასპიის მცხოვრებთა ბედი!

მაგრამ „აზერბეიჯანს", უეჭველია, არც ის გაუთვალისწინებია, თუ რა მიმართულებას მიიღებს საკითხი, მის მიერ ამორჩეულ ნიადაგზე რომ დავდგეთ აზერბეიჯანის მეზობლებმა და მხოლოდ საკითხი შევატრიალოთ: „ბაქო-ბათუმი, გავიმეორებდით ჩვენ „აზერბეიჯანის" დებულებას, ეს ორი მომენტია ერთი მთლისა და ერთის ნორმალური და უმტკივნეულო არსებობა შეუძლებელია უმეორეოდ". და აქედან იმ დასკვნას გამოვიყვანთ, რომ თვით ქალაქი ბაქო უნდა ნეიტრალურ პორტათ გადაიქცეს! „აზერბეიჯანს", ეჭვი არ არის, არ მოეწონებოდა საკითხის ამნაირი შეტრიალება, მაგრამ იგი უნდა დათანხმებულ იყო, რომ ასეთი დასკვნა მის მიერ წამოყენებულ დებულებიდან სრულიად უმწიკვლოა.

ბაქოს ოფიციოზი ამბობს, რომ ბათუმის „საკითხი სამართლიანად უნდა გადაწყდეს ერთა მეგობრობის და სოლიდარობის ნიადაგზეო". ჩვენ გვგონია, რომ ის ნიადაგი, რომელიც გაზეთს ამოურჩევია, არის არა „ერთა სოლიდარობის და მეგობრობის" დამამყარებელი, არამედ დაუფარავად იმპერიალისტური და მტაცებლური. და თუ ჩვენ მაინც დარწმუნებულნი ვართ ამიერ-კავკასიის „ერთა სოლიდარობის და მეგობრობის" მიღწევაზე, ეგ იმიტომ, რომ გაზეთ „აზერბეიჯანის" მიერ გამოთქმული შეხედულება, დარწმუნებული ვართ, ბათუმის საკითხზე სრულებით არ გამოხატავს აზერბეიჯანის რესპუბლიკის მესვეურთა შეხედულებას ამ საგანზე.

აზრები და შთაბეჭდილებანი

I

ჩვენი მილიცია და ოპოზიცია.

დამფუძნებელი კრების პარასკევის სხდომამ მოულოდნელად გადაიქცა დიდ საპარლამენტო დღეთ. ირჩეოდა სრულიად უმნიშვნელო საკითხი შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის შტატების და ხარჯთაღრიცხვისა, მაგრამ ამ უბრალო საქმის გამო დაისვა მეტად რთული და მნიშვნელოვანი საკითხი, ჩვენი მილიციის შემადგენლობის და მოღვაწეობის შესახებ.

სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია პირველად გამოვიდა დამფუძნებელ კრებაში ფაქტებით შეიარაღებული და უნდა გულახდილად ვთქვათ, მოყვანილი ფაქტები გულშემზარავი და ადამიანის შეურაცხმყოფელია. მეტია ლაპარაკი იმაზე, რომ ჩვენ ყოვლად დაუშვებლად მიგვაჩნია მილიციის მოხელეთა მხრივ მოქალაქის პიროვნების დამცირება.

მართალია, ჩვენ არ უარვყოფთ რეპრესიების სისტემას, იძულებული ვართ შევურიგდეთ გადასახლებას და დატუსაღებას, მაგრამ ამ ზომებით ჩვენ გვსურს დემოკრატიის ინტერესების უზრუნველყოფა და სხვა არაფერი. ყოველგვარი ზომა, პიროვნების დამამცირებელი, ჩვენ დაუშვებლათ მიგვაჩნია, რადგან სხვას ყველას რომ თავი დავანებოთ, ასეთი ზომები რყვნის და შლის თვით მილიციის ორგანიზაციას, იწვევს მის ზნეობრივ გახრწნას.

ჩვენ დიდი ხანია გვესმის ხმები მილიციაში გამეფებულ ცემა-ტყეპის და მოქალაქეთადმი უდიერი მოპყრობის შესახებ, მაგრამ ხმებს შემოწმება უნდა.

ოპოზიცია, სამწუხაროთ, ვერ მოიქცა ასე. ის ვერ ამაღლდა სათანადოთ და საკითხი დაამახინჯა. თუ ის ფიქრობს, რომ შესაძლებელია იდეალური მილიციის მოწყობა, ეს დიდი და გულუბრყვილო შეცდომაა: ჩვენ არ გვეგულება ისეთი ქვეყანა, რომელსაც ყოველი მხრით სრულქმნილი მილიცია ჰყავდეს. ყოველ ოჯახში შეიძლება იყოს თითო-ოროლა მახინჯი. მით უმეტეს, შესაძლებელია ასეთი მახინჯები ჩვენს მილიციაშიაც მოიძებნოს, რადგან დიდი ხანი არაა მას შემდეგ, რაც ჩვენ საკუთარ ფეხზე დავდექით და წარსულისაგან ამ საქმეში ცუდის მეტი არაფერი მოგველია სამემკვიდრეოთ.

ოპოზიცია მაშინ იქნებოდა მართალი, თუ დაამტკიცებდა, რომ უდიერი მოქცევა და ცემა-ტყეპა სისტემათ არის გადაქცეული, რომ სამინისტრომ იცის ასეთი ამბები და ყურადღებას არ აქცევს.

მაგრამ ოპოზიციას ეს არ უქნია. პირიქით, ოპოზიციამ აშკარათ დაამტკიცა დემაგოგია სამს. დადიანის პირით, რომ ჩვენში ჯერ კიდევ ნაკლებათ არის განვითარებული მოქალაქეობრივი მოვალეობის შეგნება, ბ. სამსონ დადიანს რამდენიმე თვე ჯიბით უტარებია სოც.-ფედერ. პარტიაში შესული საჩივარი მილიციის უკანონობაზე და მხოლოდ კამათის დროს გამოაქვეყნა ის. ცხადია, ბ. დადიანს არ ცოდნია, რომ ყოველი მოქალაქე ვალდებულია, როცა რაიმე ბოროტებას გაიგებს, აცნობოს სადაც ჯერ არს. ბ. დადიანს კი ეს ფაქტები ყოველ შემთხვევისათვის დაუმალავს, ალბათ იმისთვის, რომ სამინისტრო მოულოდნელათ გაეწითლოს.

არა გვგონია, რომ დასაშვები იყოს ასეთი მოქმედება თუნდაც პარტიულ კაპიტალის გადიდების გულისათვის. და როცა თვით ბ. დადიანი პატრიოტულათ გაიძახოდა, რომ ჩვენმა მთავრობამ ხელწამღები უნდა მოახდინოს ისეთი შეგნებული ხალხი ჰყავსო, ეს მხოლოდ დემაგოგიური ლირიკა იყო. ამით ბ. დადიანს იმის თქმა უნდოდა, რომ საქართველოს ხალხი ყოვლად უნაკლულოა დედამიწის ზურგზე, მაგრამ მას ყოვლად უვარგისი მთავრობა ჰყავსო. ისიც კი ვერ იგრძნო ბ. დადიანმა, რომ ამით მიწასთან გაასწორა ქართველი ხალხი; თუ ის ითმენს უვარგის მთავრობას, როგორი შეიძლება, რომ თითონაც არ იყოს უვარგისი, ე. ი. პოლიტიკურათ მოუმწიფებელი.

სამწუხაროთ, ასე არ არის. უნაკლულო არც ჩვენი ხალხია და არც ჩვენი მთავრობა. და ვისაც ამ ნაკლის გამოსწორება სურს, მან უნდა დაეხმაროს მთავრობას, კარგი მოუწონოს, ცუდი დაუწუნოს და გზა უჩვენოს.

ჩვენი ოპოზიცია კი ამბობს ბ. დადიანის სიტყვებით, როცა მას უკეთესი გეგმის ჩვენებას სთხოვენ: უკეთესი გეგმა—ეს თქვენი წასვლაო.

ამით ოპოზიციამ აშკარათ სთქვა თავისი გულის ნადები; მას აინტერესებს არა ქვეყნის ბედ-იღბალი, არა ბოროტების აღმოფხვრა, არამედ—საკუთარი გავლენის გაძლიერება. სხვანაირად არც შეუძლია მოიქცეს იმ წვრილ ჯგუფს, რომელიც ხალხის ფართო მასას კი არ ემყარება, არამედ მცხოვრებლების უმნიშვნელო წრეებს.

ჩვენი პარტია კი ემყარება ხალხის ფართო მასას, დემოკრატიას და ამით არის ის ძლიერი.

და ამიტომ იმედი გვაქვს, რომ ის შეცდომებს, რომელიც დღეს მილიციაში არსებობს, აღმოფხვრილი იქნება. ამის თავდებია ის, რომ მილიციის საქმე ერთგვარად ადგილობრივი თვითმართველობის ხელშია.

გვაზრაძელი.

გახსოვდეთ შოთას სიტყვები— „რასაცა გასცემ შენია,—რაც არა, დაკარგულია".—დაეხმარეთ გორს!

ქურნალ-გაზეთებიდან

ოსმალეთი და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები.

ამ საკითხს ეხება მოწინავე წერილში გაზ. „ადერბეიჯანი" და სხვათა შორის, სწერს: „ჩვენ არ ვიცით როგორი მდგომარეობაა ამ ქამად ოსმალეთში და როგორია ნამდვილი გეგმა და განზრახვები ოსმალეთის მთავრობისა, მაგრამ იმ საინფორმაციო მასალის მიხედვით, რაც ჩვენს განკარგულებაში მოიპოვება, ჩვენ შეგვიძლია გადაჭრით ვსთქვათ, რომ ყოველგვარი საფრთხე აგრესიულ განზრახვების გამო ოსმალეთის იმპერიის მხრივ და ამ საფრთხით გამოწვეული მსჯელობა და მტკიცებები მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს".

შემდეგ გაზეთი ცდილობს დაამტკიცოს, რომ ოსმალეთში არსებული პანისლამისტური ლტოლვილება ნაციონალურ მოძრაობათ გადახალისება საერთაშორისო მდგომარეობის შეცვლის გამო, და განაგრძობს:

„რაც შეეხება ამიერ კავკასიის რესპუბლიკებს, ჩვენ ვიცით, რომ ოსმალეთსა და მათ შორის ურთიერთობის მთელი ისტორია მაჩვენებელია იმის, რომ ოსმალეთი ყოველთვის იცავდა ამ სახელმწიფოების სუვერენულ უფლებებს; და არ არის არც ერთი შემთხვევა იმისა რომ ეჭვი შევიტანოთ ოსმალეთის განზრახვათა გულწრფელობაში ჩვენს მიმართ.

„მაშინ, როდესაც პირველათ იახლებოდა ახალი გზები, რომელზედაც უნდა შემდგარიყვნენ ამიერ კავკასიის ხალხები, და როდესაც ოსმალეთი იყო ერთ ერთი უძლიერესი ფაქტორთაგანი აღმოსავლეთის პოლიტიკაში,—ამ დროს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობის იდეა ერთ ერთ ძლიერ დამცველს პოულობდა ოსმალეთის სახით.

„ამიერ-კავკასიის სეიმის დაარსების დროს და შემდეგაც, როდესაც წინ წაიდგა სახელმწიფოებრივი დიფერენციაცია, ოსმალეთი იმათ რიცხვში იყო, ვინც არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც უწევდა საგრძნობ დახმარებას ამიერ კავკასიის რესპუბლიკებს".

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

28 თებერვალი.

ფრანგული პრესის ცნობები.

უმაღლესი საბჭოს დეკლარაცია.

უმაღლესმა საბჭომ სამშაბათს გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომელშიც ნათქვამია: მოკავშირეებს არ შეუძლიათ საბჭოთა მთავრობასთან დიპლომატიური კავშირი დაიჭირონ მანამდის, სანამ არ დარწმუნდებიან, რომ ბოლშევიკური საშინელებანი ბოლო მოეღო და რომ მოსკოვის მთავრობა მზათ არის თავისი მეთოდები და თავისი დიპლომატიური ყოფა-ქცევა კულტურულ მთავრობის შეუთანხმოს. სავაჭრო დამოკიდებულება რუსეთისა და ცენტრალური ევროპის შორის რაც შეიძლება ფართოდ იქნება დაყენებული. ერთა ლიგა შეუდგება რუსეთის ნამდვილ მდგომარეობის გამოკვლევას.

ოსმალეთი და საბერძნეთი.

დილის სხდომაზე უმაღლესი საბჭო იხილავდა სმირნისა და ოსმალეთის იმ ტერიტორიების საკითხს, რომელიც საბერძნეთს უნდა გადაეცეს. ვენიზელოსს კვლავ მოუსმინეს, იგი დაესწრება ოთხშაბათის სხდომას.

კონსტანტინოპოლის საკითხი.

კონსტანტინოპოლის საკითხს ლორდთა პალატა ხუთშაბათს განიხილავს. ლოიდ-ჯორჯი ამ სხდომას დაესწრება.

ვილსონის ნოტა.

ოთხშაბათს დილით ლონდონში მიიღეს ვილსონის მეორე ნოტა ადრიატიკის საკითხის შესახებ. მას განიხილავენ ხუთშაბათს.

რკინისგზელთა გაფიცვა.

სინდიკალური ორგანიზაციების შემუშავებულ პროგრამის თანახმად ოთხშაბათს დილით შეწყდა „პლმ"-ის რკინის გზის ხაზზე მატარებელთა მოძრაობა. მუშაობა თითქმის ყველგან ერთ დროს შეწყდა სახელოსნოებში, დეპოებში და სხვაგან. „მუდმივი"-ხაზზე რამდენიმე მატარებლის გაშვება მაინც შესძლეს. გაზეთები სწერენ: მთავრობამ ყოველგვარი ზომები მიიღო საერთო ინტერესების დასაცავად და არც პარიზსა და არც სხვა ქალაქს, რომელსაც კი ეს რკინის გზა ემსახურებოდა, სურსათ-სანოვაგე არ დააკლდებაო.

ხუთშაბათს დილით საზოგადო სამუშაოთა სამინისტროს შენობაში მოხდა კრება, რომელსაც დაესწრნენ შინაგან საქმეთა, სამხედრო და საზღვაო სამუშაოთა მინისტრები და სტატს-სეკრეტარის ამხანაგი. ითათბირეს რკინის გზებზე გამოწვეულ გაფიცვებისა და იმ ზომების სისრულეში მოყვანის შესახებ, რომელიც მთავრობამ დაისახა ამ თებერვლამდის, რათა მხარე სურსათ-სანოვაგით უზრუნველეყო. მოუსმინეს რკინის გზათა ხაზების დირექტორებს. შემდეგ საზოგადო სამუშაოთა მინისტრი ლე-ტროკე ესაუბრა რკინის გზის მუშათა აღმასრულებელ კომიტეტის დელეგაციას. ითათბირეს გადასწყვიტეს: 1) რკ. გზები დაცული იქნეს ყოველგან, სადაც ამის გარემოება მოითხოვს; 2) რკინის გზის მომქმედი ნაწილი მოწოდებულ იქნეს, რომ სწორი მისვლა-მოსვლა არ შეწყდეს და მხარე სურსათ-სანოვაგით უზრუნველყოფილი იქნეს. მეორეს მხრივ გამოცემული იქნება სურსათ-სანოვაგის ხმარების შემზღუდველი კანონი. მიღებული იქნება სასტიკი ზომები ყოველგვარი სპეკულიაციისა და სანოვაგის გადამალვის წინააღმდეგ.

გაფიცვაა აგრეთვე პარიზ-ლიონის რკინის გზის ხაზზე, საზოგადო სამუშაოთა მინისტრი სათანადო ზომებს იღებს.

შემარიგებელი კილო.

ლონდონში მიღებული ვილსონის ნოტა შემარიგებელ კილოთი არის დაწერილი, მაგრამ ის არ გვიჩვენებს გამოსავალს შექმნილი მდგომარეობიდან.

ინგლისური პრესის ცნობები.

საბჭოთა რუსეთი და მოკავშირენი.

(ბასრუტან)

კოპენჰაგენიდან იუწყებიან: იმ საღამოს, როდესაც ოგრედი წასვლას აპირებდა, ცნობა მიიღო მან საბჭოთა მთავრობისაგან, რომ იგი მზათ არის წითელი ჯარების სრული დემობილიზაცია მოახდინოს იმ პირობით, თუ მოკავშირენი საბჭოთა რუსეთის საზღვრების ხელშეუხებლობის გარანტიას მისცემენ.

მარკონის სააგენტოს ცნობები.

ზავი.

მოსკოვი. თებ. 27. გარეშე საქმეთა სახალხო კომისარმა ჩიჩერინმა წინადადებით მიმართა შეერთებულ შტატების იაპონიის და რუმინეთის მთავრობას საზავო მოლაპარაკების დაწყების შესახებ. ნოტებში ნათქვამია, რომ ყოველგვარი სადავო საკითხები შეიძლება გადასწყდეს მხოლოდ საზავო მოლაპარაკების საშუალებით, რომ ტერიტორიის საკითხები შეიძლება გადასწყდეს ისე, როგორც კი გვესურვება. რომ რუსე-

---

გზა გამოვლით

სალამი დამოუკიდებელ საქართველოს! ეს დამოუკიდებლობა დღეს თავდებია მისი დემოკრატიულ გზაზე წინსვლის. ეგრეთ წოდებულ მთლიან და განუყოფელ რუსეთის ფარგლებში ის ვერ იპოვნიდა ამ გზას. ვერ იპოვნიდა, რადგან ვერ პოულობს თითონ რუსეთი. ის იხრება მარჯვნიდან მარცხნივ, მარცხნიდან მარჯვნივ, აღის უმაღლეს სივრცეში და ეცემა ღრმულ უფსკრულში.

ეს დაგვანახვა უკანასკნელი წლების ისტორიამ. ამ წლების განმავლობაში დიდი რევოლუცია გადაიქცა დიდ რეაქციათ. რევოლუცია წავიდა შორს. მარცხნივ და იმ უკიდურეს მარცხენა წერტილზე ფართოთ გაეღო კარები ახლა იქ გამეფებულ რეაქციას. რეაქციონერია ერთი ძალაც და მეორეც—ბოლშევიზმიც და მისი შეურიგებელი მოპირდაპირეც. მთელი რუსეთი გადაიქცა ამ ორი ძალის საომარ ასპარეზათ. არაფერი არ კეთდება სამოქალაქო ომის მეტი. ამის გარშემო ტრიალებს შინაური და გარეშე პოლიტიკა, აქ იწყება და თავდება ყოველგვარი საქმიანობა, ამას ემორჩილება ყოველნაირი წარმოება. ეს ისეთი წარმოებაა, რომელიც ანგრევს რუსეთს. ინგრევა ეს დიდი ქვეყანა ორი კუთხიდან. ლენინ და დენიკინს ერთნაირი ღვაწლი მიუძღვით ამ „წარმოებაში". ლენინი და დენიკინი ორი სახეა ერთი და იმავე ანარქიის. არ არის რუსეთში ის მუშათა კლასი, რომლის პოლიტიკასაც აწარმოებს ლენინი, არ არის ის ბურჟუაზია, რომელიც საქმით და არა მარტო სიტყვით მხარს უჭერს დენიკინს. ეს ორი სული ითქვამს მარტო ერთი-მეორით. ლენინი ამზადებს ნიადაგს დენიკინისათვის და დენიკინი ლენინისთვის. ლენინის დახნულს მიწაზე სთესავს დენიკინი, დენიკინის დათესილს მკის ლენინი. ლენინი რომ არ ყოფილიყო, დენიკინი ვერ გაიხარებდა, დენიკინს რომ ფეხი ვერ მოეკიდებინა, ლენინი აქამდის ვერ გასძლებდა. ესენი მოსაკლავათ მისდგომიან ერთი-მეორეს და სიცოცხლის სულს უბერავენ ერთმანეთს.

მე ვნახე ხალხი, რომელიც დიდი აღტაცებით ხვდებოდა ლენინის ჯარს, ვნახე იგივე ხალხი, როცა ის შეწუხებული და სულ შეხუთული მოუთმენლათ ელოდა დენიკინის ჯარს. მე ვნახე ის ხალხი, რომელიც სიამოვნებით მისდევდა უკან ლენინელებს პირველი მაისის დღესასწაულზე, ვნახე იგივე ხალხი, როცა ის უსაზღვრო სიხარულით ეგებებოდა დენიკინელებს ივნისის პირველ რიცხვებში, მე ვნახე ხალხი, რომელიც მოწიწებით იდგა „წითელ" სასაფლაოს გარშემო და პატივით იხსენიებდა იქ დამარხულ ლენინის ჯარისკაცებს, ვნახე ჩემის თვალით იგივე ხალხი, როცა ის ერთი თვის შემდეგ სასაფლაოდან თხრიდა სხეულებს და ისვრიდა ძაღლების შესაჭმელათ.

ეს ბრბო სჩანს მარტო ფართო ასპარეზზე. არაა არც ერთი საზოგადოებრივი კლასი შეგნებული, გაერთიანებული და თავისი გზით მიმავალი. არ სჩანს მესამე ძალა—დემოკრატია. აქ კვალი არ დატოვებია ჩვენ წარსულ მუშაობას, სულ უნაყოფოა დღევანდელი მუშაობაც. ახლა ერთად ერთი ხალხის საქმეა წასვლა ამ უდაბნოდან, წასვლა და ისევ დამოუკიდებლობა.

აღელვებით წავედი სამშობლოსკენ, თუმცა ამ დიდ ქვეყანასთან იყო შეკავშირებული ჩვენი პატარა ქვეყნის ბედ-იღბალი, თუმცა ამას შევალიეთ თავის დროზედ ჩვენი ძალები.

⁂

ძნელია წასვლა ფიზიკურათ. ყოველ წამსვლელს რუსეთის გზებზე აუტანელ პირობებთან აქვს საქმე. მიწის ძვრა ვერ დაანგრევდა ამ გზებს ისე, როგორც დაანგრია ლენინ-დენიკინის ანარქიამ. სამოქალაქო ომში ერთი ჯარიც და მეორეც უკან დახევის დროს ხშირათ არღვევს ლიანდაგებს, აფეთქებს ხიდებს. არ არის ორთქლმავალები, არ არის ნახშირი. ხანდახან მატარებელი ჩერდება ყრუ ადგილას, მგზავრები მიდიან ტყისკენ, მოაქვთ შეშა და ხელს უწყობენ ორთქლმავალის ამოძრავებას. მატარებელი გადის და გამოდის ორ-სამ დღეში მარტო ერთხელ. მგზავრები ვერ ეტევიან. ამიტომ სპეკულიაციას ეძლევა კანონიერი სახე. ბილეთი ღირს, ასი მანეთი, მაგრამ ვერ მიიღებთ ხუთ ექვს ათას მანეთ ნაკლებ. აძლევენ ათი ათას და ოცი ათას მანეთსაც.

ძნელია მგზავრობა თითონ მატარებლებშიაც. ერთი და იგივე ადგილი ოთხ-ხუთს მგზავრს აქვს მიყიდული. შეუძლებელია დატევა. შიგნით არც გათბობაა, არც განათება, აუტანელი ჭუჭყი, სიბინძურე... გადამდები ავათმყოფობა. ავათმყოფებს სტოვებენ აქა იქ სადგურებზე მიგდებულ ვაგონებში. არ ჰყავთ პირისუფლები, რომ უპატრონონ, არ ჰყავთ ექიმები, რომ უმკურნალონ, იხოცებიან და არ ჰყავთ გამტანი, სასაფლაოზე წამღები.

ვის სცალია ამათთვის? რკინის გზის გამგეობა ვითომ სახელმწიფო ინტერესებს ემსახურება, და სამხედრო მთავრობის განკარგულებას ასრულებს. ის ვითომ ხელს უწყობს სამხედრო ევაკუაციას. ევაკუაცია ნიშნავს [illegible] სხვადასხვაგვარი ქონების გატანას, ჯარის გაყვანას, ევაკუაცია საჭიროა, რომ ეს ქონება, ჯარი მოპირდაპირეს არ ჩაუვარდეს ხელში. ეს ვითომ ასეა, ნამდვილად კი იქაური რკინის გზა ემსახურება კერძო ინტერესებს, სპეკულიაციას. ხშირათ საბარგო მატარებელში დაინახავთ, ისეთ რამეს, რასაც არავითარი დამოკიდებულება არ აქვს სახელმწიფო ქონებასთან. ერთ მატარებელში მაგალითად პირველი კლასით ძროხა მოყავდათ. ძროხის ევაკუაციას, რა თქმა უნდა, არ მოითხოვდა სამხედრო ინტერესი. ამ ინტერესს უფრო შეეფერებოდა, ვთქვათ, დაჭრილი ჯარისკაცების გაყვანა, მაგრამ მათთვის მატარებლებში ადგილს ვერ შოულობდენ. ესენი რჩებოდენ უკან და მტერს უვარდებოდენ ხელში. მტერი კი არ ზოგავს მოპირდაპირის ჯარისკაცებს. დენიკინის მტერი მოიწევდა საშინელი სისწრაფით. მათი შემოტევა გადაიქცა უბრალო სეირნობათ. ვის ეგონა ეს? წითელ რაზმს სიცოცხლის ნიშანი აღარ ეტყობოდა. დენიკინი ფიქრობდა, დღეს თუ ხვალ მოსკოვს დაეპატრონებაო. გამარჯვებით თავბრუდახვეული ის ყველაგან ძველ დროს აბრუნებდა, გლეხებს მიწას ართმევდა, გლეხები მერე ისევ წითელ რაზმს უბრუნდებოდენ. ახლა ყველას ეგონა, რომ ეს რაზმი გაიმარჯვებდა საბოლოოთ და სამხრეთ რუსეთს შემოიერთებდა.

სევასტოპოლში დენიკინის გაზეთები ხმას აღიმაღლებდენ, ბოლშევიკებს გერმანია ეხმარებაო. ამბობდენ იმავე დროს, რომ გერმანიიდან დენიკინთან მოვიდა დელეგაცია და წინადადება მისცა კავშირის შესახებო. გაჩნდენ დენიკინის ბანაკში ამ კავშირის მომხრეები, და მორცხვათ იცავდენ ამ აზრს გაზეთის ფურცლებზე. მაგრამ გერმანიასთან კავშირის დაჭერა მიმართული იქნებოდა არა მარტო ბოლშევიკების წინააღმდეგ. ეს იქნებოდა ბრძოლის გამოცხადება მოკავშირეების წინააღმდეგაც. დენიკინის რაზმი კი ამ გზაზე ერთ ნაბიჯსაც ვერ გადადგამდა.

უფრო დიდხანს ლაპარაკობდენ გერმანიის და საბჭოთა რუსეთის შეთანხმებაზე. მე ყურს ვუგდებდი ამ ხმებს და ვფიქრობდი, რომ ეს შეთანხმება პოლიტიკურათ არ არის შეუძლებელი. გერმანია შევიწროებულია გამარჯვებულ მოკავშირეებისაგან, რუსეთის ბოლშევიკები ებრძვიან ამ მოკავშირეებს. ევროპაში დამარცხებული ბოლშევიზმი მოექცევა აღმოსავლეთისკენ და აზიის ქვეყნებში ეძებს თავის გასამაგრებელ ნიადაგს. იქ მოკავშირეთა იმპერიალისტების ბუდეა. იქ დამარცხება დაასუსტებს დღეს გერმანიაზე გამარჯვებულებს. ეს სისტემა, რასაკვირველია, ხელსაყრელი იქნება გერმანიისთვის. გერმანიამ იცის, რომ ბოლშევიკური სოციალიზმი ფეხს მაინც ვერ მოიკიდებს. იცის, რომ ბოლშევიკებთან კავშირს ის გამოიყენებს თავისთვის ინგლის-საფრანგეთის წინააღმდეგ, თითონ ბოლშევიზმი კი დღევანდელ მსოფლიო პირობებში ბურჟუაზიულ ძალათ გარდაიქმნება... ისტორიამ ხშირათ იცის საოცარი მიხვრა-მოხვრა...

⁂

სევასტოპოლში შეიკრიბენ მოწინავე მუშები, მთხოვეს მოხსენება თანამედროვე მომენტზე. მე გავატარე მოხსენებაში ის აზრი, რომელსაც ზემო რუსეთის პარტიულ წრეებში ვატარებდი. ვამბობდი, რომ შეგნებული მუშათა კლასი ვერ მიემხრობა ვერც ლენინს და ვერც დენიკინს, ამ კლასმა უნდა აწარმოოს თავისი დამოუკიდებელი პოლიტიკა და ებრძოლოს საბრძოლველათ ორივე ფრონტზე. აქაური მსმენელები, თანახმა არიან და ჩვენ გვიხარია დენიკინის დამარცხება, მაგრამ სრულიაც არ გვიხარებს ლენინის გამარჯვებაო. ასეთია მათი თეორეტიული შეხედულება. სამწუხაროთ სულ სხვანაირია მათი პრაქტიკული დასკვნა. არ არის და არც იქნება მესამე ძალა, ჩვენ მხარი უნდა დავუჭიროთ ან ერთს ან მეორეს და რაკი ძველი გზა არა გვაქვს, ისევ ლენინს უნდა ვუსურვოთ გამარჯვებაო. ძალიან მარტივათ აქვთ წარმოდგენილი დღევანდელი სამოქალაქო ომი. რევოლუცია ებრძვის რეაქციას, და რადგან ბოლშევიზმი რევოლუციათ მიაჩნიათ, მის გამარჯვებას აჯობინებენ. ვერ ხედავენ, რომ ამ ორ შეჯიბრებულ ძალაში ვერც ერთი ვერ გაიმარჯვებს.

შავ ზღვაზე გასვლის იმედი იკარგება თითქმის. ნაოსნობაც განადგურებულია. ნახშირი არ არის და გემი ვერ გადის, მითხრეს. მიმითითეს ერთ ქართველზე, ადგილობრივი ქართველების წარმომადგენელია და საგემო საზოგადოებაშიაც მსახურობსო. მივმართე... ჩვენი შეხვედრა დაიწყო და გათავდა შემდეგი საუბრით:

— როდის გავა გემი ბათუმისკენ?

— არ ვიცი.

— გავა თუ არა როდისმე?

— არ ვიცი.

— იქნება სულ მოსპობილია მიმოსვლა?

— არც ეს ვიცი.

შესანიშნავათ იცავს ეს „წარმომადგენელი" ქართველების ინტერესებს...

⁂

რა საზარელი მდგომარეობაა ნოვოროსიისკში. არავითარი მუშათა ორგანიზაცია, არავითარი საზოგადოებრივი სიცოცხლე. აქ მოუყრია თავი გამოქცეულ ჯარს. აქ არიან დენიკინის მარჯვენა და მარცხენა მკლავები. აქ იბეჭდება ახლა ყველა მისი გაზეთები.

ამ გაზეთებში ახლა ეჭვის თვალით უყურებენ იმ პოლიტიკას, რომელსაც თითონვე იცავდენ, მაგრამ... ისევ იცავენ. რუსეთის ბურჟუაზიული ინტელიგენცია ცნობილი სტრუვეს მეთაურობით, ვითომ დიდ რუსეთს ემსახურება. და ამ სამსახურს ხედავს მარტო დენიკინის ქება-დიდებაში. გაზეთი „Великая Россія", წყალში ჩავარდნილივით ჩალის ნატეხს ეპოტინება და იძახის,—იმედს ნუ დაჰკარგავთ, გამარჯვება მაინც ჩვენსკენ იქნებაო. მაგრამ ვერ ითმენს და ამბობს, დენიკინის ჯარმა შემზარავი სახე მოიჩინაო.

ბოლომდის ვერ ამხილა, მაგრამ უმისოთაც დავინახეთ ეს სახე. როსტოვიდან გამოქცეული ჯარის უფროსები გზაზე თურმე აწიოკებდენ საბარგო მატარებლებს, ძარცვავდენ. გაიტაცეს და წაიღეს გასაყიდლათ აგროვებული სიმდიდრე—სურსათი, ტანსაცმელი, ყველაფერი რაც მომზადებული იყო ჯარისთვის მოსამარაგეთ. ნოვოროსიისკში ამ ნატაცებით და ასე ნაშოვნი ფულით ცხოვრობდენ, ადვილათ უძლებდენ აქაურ სიძვირეს. სიძვირე კი

თის საბჭოთა მთავრობას არავითარი სურვილი არა აქვს ვისმეს შინაურ საქმეებში ჩაერიოს, არამედ—მას უნდა თავისი ეკონომიური მიზნები განახორციელოს. შეერთებულ შტატებისათვის გაგზავნილ ნოტაში სხვათა შორის ნათქვამია, ამერიკის სიმდიდრე, მრეწველობა და სამრეწველო უნარი იქნება ერთი უდიდესი ძალა, რომელიც ჩვენი ქვეყნის აღდგენაში ხელს შეგვიწყობს. შეიძლება კატეგორიულად ვსთქვათ, რომ საბჭოთა რუსეთისა და ამერიკის დამოკიდებულება ორივე მხარეს დიდ სარგებლობას მოუტანსო.

საბჭოს არჩევნები

მოსკოვი. 27 თებერვ. გუშინდლამდის არჩეულია 1,120 დეპუტატი. მათგან: 979 კომუნისტია, 87 თანამგრძნობი, 61 უპარტიო, 19 მენშევიკი, 2 მაქსიმალისტი, 1 ანარქისტი, 1 მემარცხენე ესერი.

სამხედრო ცნობა.

მოსკოვი. თებერვლის 28. როსტოვის რაიონში ჩვენ სტანიცა ელისავეტოვსკაია დავიკავეთ. ნოვო-ჩერკასკის რაიონში ბრძოლაა მანიჩსკაიასთან, ტიხორეცკაიას მიმართულებით წინ ვიწევთ. სტავროპოლის რაიონში სტავროპოლის ჩრდილოეთით 20 ვერსზე სასტიკი ბრძოლები სწარმოებს. სვიატოკრესტოვის რაიონში ჩვენ რამდენიმე სოფელი დავიჭირეთ. ამ ბრძოლების დროს ხელთ ვიგდეთ 400 ტყვე, ტყვიისმფრქვეველები და სხვა დავლა.

საბჭოთა რუსეთი და ამერიკელი ვაჭრები.

მოსკოვი. 27 თებერვალი. ამერიკელ მსხვილ ვაჭრებს სურთ გავლენა მოახდინონ თავის მთავრობაზე, რომ მან რუსეთთან ვაჭრობა განაახლოს. ლატვიის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება საბჭოთა რუსეთთან საზავო მოლაპარაკების დაწყების შესახებ. გარეშე საქმეთა სახალხო კომისარმა ჩეხო-სლოვაკის მთავრობას წინადადება მისცა საბჭოთა რუსეთთან საზავო მოლაპარაკების დაწყების შესახებ.

ვინც თავში ასი ათასობით იღებს და მშიერს გროშებით ისტუმრებს— ის თვალთმაქცი და ფარისეველია.

ახალი ამბები

◆ **დღეს,** შუადღის 12 საათზე, ავლაბრის მუშათა კლუბში თფილისის კომიტეტი იწვევს მესამე რაიონის წევრთა საზოგადო კრებას. ამხ. ნ. რამიშვილი წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „პროლეტარიატის დიქტატურა და სოციალური რევოლუცია".

◆ **დღეს,** დილის 10 საათზე, სახალხო სახლში საქ. ს.-დ. მ. პ. თფილისის კომიტეტი იწვევს თფილისის ორგანიზაციების წევრთა საზოგადო კრებას, რომელზედაც რუსეთიდან ახლად ჩამოსული ამხ. სეით დევდარიანი გააკეთებს მოხსენებას რუსეთის დღევანდელ მდგომარეობის შესახებ.

◆ **დამფუძნებელი კრების სხდომა.** ორშაბათს, 1 მარტს, შუადღის 12 ს. შესდგება დამფუძნებელი კრების საგანგებო სხდომა.

◆ **დამფ. კრების ს. დ. ფრაქცია.** ორშაბათს, 1 მარტს, საღამოს 7 საათზე დანიშნულია დამფუძნებელი კრების სოც.-დემოკრატიული ფრაქციის სხდომა. ს. დევდარიანი მოხსენებას გააკეთებს რუსეთის მდგომარეობის შესახებ.

◆ **მთავრობის საგანგებო კომიტეტმა** შეადგინა საზღვარ-გარეთ გასაგზავნი ინფორმაცია საქართველოში მიწის ძვრის გამო მომხდარ უბედურების შესახებ.

◆ **უმაღლესი „კრუგის" დელეგაცია.** 27 თებერვალს, უმაღლესი კრუგის დელეგაცია წარუდგა მთავრობის თავმჯდომარე ნოე ნიკოლ. ჟორდანიას, საგარეო საქმეთა მინისტრ ევგენი პ. გეგეჭკორს და სამხედრო მინისტრ გრიშა ლორთქიფანიძეს. გუშინ, იგივე დელეგაცია წარუდგა დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის უფროს ამხანაგს ა. ლომთათიძეს და ესაუბრა სხვადასხვა საკითხებზე. დელეგაციას განზრახული აქვს დაათვალიეროს გორი.

◆ **კულტურული მუშაობა ჯარში და გვარდიაში.** დღეს, 29 თებერვალს ხელმწიფო თეატრში დილის 12 ს. ჯარისა და გვარდიისათვის დადგმის ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველზე".

◆ **ყოფილ განსაკ. რაზმ. დღეზმის რაზმში მყოფთა საყურადღებოთ.** დღეს, 29 თებერვალს, დილის 12 ს მეორეჯერ დანიშნულია კრება ნაძალადევის თეატრში ამ რაზმის ანგარიშების ლიკვიდაციის მოსახდენათ. სთხოვენ ყველა იმ პირთ, რომლებიც 1918 წელში ამ რაზმში იმყოფებოდენ და დღეს თბილისში არიან, აუცილებლათ გამოცხადდენ. პირველი კრების დადგენილების თანახმად ამ კრებაზე რამდენი წევრიც გამოცხადდება, კრება კანონიერათ ჩაითვლება. ყოფ. შტ.-წევრები თეიმურაზ და სარდიონ ჭელიძე და დათიკო კერესელიძე.

◆ **ნავთის დატაცება.** ქალაქის გამგეობამ მოაწყო ნავთის მიტანა მოსამსახურეებთან დაწესებულებებში, მაგრამ, სამწუხაროთ, ზოგიერთი მოსამსახურეები ართმევენ ნავთს დამტარებელს უფასოდ. სასურსათო განყოფილება ამით აცხადებს, რომ ასეთ მტაცებლების წინააღმდეგ მიღებული იქნება სერიოზული ზომები. იმ პირთ და დაწესებულებებთ კი, რომლებიც უფულოდ გაიტაცეს ნავთი, სთხოვენ სასწრაფოდ შემოიტანონ კუთვნილი ფული, წინააღმდეგ შემთხვევაში სასურსათო განყოფილება მიიღებს საჭირო ზომებს.

◆ **ღარიბთა და ბავშვთა დამცველ** საზოგადოების „საბავშვო სახლში" ორშაბათიდან იხსნება „საბავშვო ბაღი" 4 დან—7 წ. ბავშვებისათვის და „საბავშვო კლუბი" 7-დან 14 წლის ბავშვებისათვის. ჩაწერა სწარმოებს „საბავშვო სახლში" ყოველ დღე საღამოს 4—6 საათამდე. გამგეობა იწვევს ფრებელის სისტემის მცოდნე ქალს და დურგლობის და ფეხსაცმელების კერვის საქმის ხელმძღვანელებს. ქართული ენის ცოდნა სავალდებულოა.

◆ **მესხეთ-ჯავახეთის კომიტეტმა** მიიღო 800 მანეთი შემოწირულება ქიათურის კოოპ. „ჩვენი ოჯახისაგან".

თბილისის საგანგებო კომიტეტი.

მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარე მთავრობის საგანგებო კომიტეტის შემადგენლობა.

	მისამართი.	ტელეფონის № სამსახურისა.	ტელეფონის № ბინისა.
1. თავმჯდომარე კომიტეტისა იუსტიციის მინისტრი რაჟდენ მათეს-ძე არსენიძე	ახალი მეზუთოვის ქ. № 11.	13—56	7—54
2. თავმჯდომარის ამხანაგი შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი პარმენ გაბრიელის ძე ჭიჭინაძე (ერობათა კავშირის წარმომადგენელი)	ოლღას ქ. № 11.	17—83	1—40
3. დამფუძნებელ კრების წევრი ივანე გედევანის-ძე გომართელი	ანასტასიას ქ. № 22.	. . .	6—33
4. თფილისის ქალაქის თავი ბენია გიორგის ძე ჩხიკვიშვილი.	პასკევიჩის ქ. № 10.	9—28	17—64
5. ქალაქთა კავშირის წარმომადგენელი მელიტონ ივანეს-ძე რუხია	ანასტასიას ქ. № 13.	17—01	11—98
6. სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის წარმომადგენელი ერმოლოზ ივანესძე სირბილაძე	წყნეთის ქ. № 17.	15—59	19—76
7. წითელი ჯვრის წარმომადგენელი მიხეილ თათარის-ძე ზანდუკელი	ანასტასიას ქ. № 13.	2—94	9—31
8. რკინის გზის წარმომადგენელი ვასილ სპირიდონის-ძე ბარკალაია	ბათუმის ქ. № 24.	4—58	8—75
9. მომარაგების სამინისტროს წარმომადგენელი დიმიტრი ევგენის-ძე ათაბეგი	მამადავითის ქ. № 5.	12—51	7—10
10. შინაგან საქმეთა სამინისტროს მედიკოსანიტარულ განყოფილების უფროსი სვიმონ დავითის ძე ჯაფარიძე	ვერის დაღმართი № 5 ბინა 3.	56	14—08
1. პროფესიონალურ კავშირთა თავმჯდომარე ალექსი ხელაძე.	პროფეს-კავშირთა სეკრეტარიატი მუშათა სასახლე.	14—74	14—74
2. იმავე კავშირის თავმჯდომარის ამხანაგი სამსონ დობორჯგინიძე			
3. კომიტეტის საქმეთა მმართველი, იუსტიციის დეპარტამენტის დირექტორი გ. თ. ჟორდანია.	სასამართლოს ქ. № 28.	17—57	17—00

◆ **ქუთაისის ქალაქის საბჭოში** საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და მრავალ ხალხის თანადასწრებით შესდგა სასწრაფო სხდომა რომელზედაც დადგენილ იქნა უგულითადესი თანაგრძნობა გამოუცხადოს თავის უბედურ ძმებს ქართლელებს. დაარსდა დამხმარე კომიტეტი, რომელიც სასწრაფოდ შეუდგა გორის ფონდისთვის შემოწირულების შეკრებას.

„გორის ფონდი". რედაქციამ მიიღო მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ: გენ. ახმეტელაშვილისაგან მისდამი რწმუნებულ სანაპირო ჯარის ხარისხოსნებსა და ჯარისკაცებში შეგროვილი 1100 მან., ეფრემ და სალომე ლომთაძეებისაგან მათი აწ განსვენებულ შვილის ვარლამის ხსოვნის აღსანიშნავად—ათასი მანეთი. სოსიკო მერკვილაძესაგან—ხუთასი მანეთი, პირველ რაიონის სოც. დემ. მ. პ. კოლექტივისაგან 5000 მან., ფილოდოსია აბესაძისაგან სტუდენტების სასადილოში შეგროვილი 250 მ.

◆ **წარმოდგენა ქართულ და სომხურ ენაზე.** ორშაბათს 1 მარტს ცენტრალურ მუშათა კლუბში (პლეხანოვის პრ.) პროლეტარი ნემსის კავშირი, გამართავს წარმოდგენას.

კრებები

დღეს, დილის 10 ს. მუშათა კლუბში (პლეხანოვის პრ. № 123), შესდგება ქალაქთა კავშირის მუშა მოსამსახურეთა კავშირის წევრთა—საზოგადო კრება.

— დღეს, დილის 10 ს. მუშათა კლუბში (პლეხანოვის ქ. 123) შესდგება პროფესიონალურ კავშირების საბჭოს, პროფესიონალურ კავშირთა გამგეობებს ყველა წევრებისა, ქარხნების და ფაბრიკების კომიტეტების კრება.

— რადგან 22 თებერვლისათვის მოწვეულ არაჩვეულებრივი კრება, ყოფილ ოფიცერთა საზოგადოებისა არ შესდგა, ამიტომ მეორე კრება დანიშნულია დღეს, 29 თებერვალს ქართულ კლუბში.

— დღეს დილის 10 ს. თბილისის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის ქართველ-სტუდენტთა კავშირის გამგეობა იწვევს ამავე ინსტიტუტის ქართველ-სტუდენტთა საერთო კრებას.

— საგარეო დაწესებულებებში მოსამსახურეთა კრება დანიშნულია დღეს დილის 11 ს. მუშათა კლუბის შენობაში.

— სტუდენტ იურისტთა კრება დანიშნულია დღეს დილის 11 ს. სასამართლოს დაწესებულებათა შენობაში.

დაეხმარეთ მიწის ძვრისაგან დაზარალებულთ.

მოწოდება

მოქალაქენო, გორსა და იმის გარშემო სოფლებში 80 ათასამდე სული დაზარალდა. მათი სარჩო-საბადებელი, ტანისამოსი, ქვეშსაგები მიწის ქვეშ მოყვა ნანგრევებში და საცოდავი ხალხი ამ სიცივეში გარეთ იყინება. შეიბრალეთ შიშველი ბავშვები, სიცივისაგან გაკანკალებული ქალები და ხელ ფეხ დაყინული მამაკაცები.

მათთვის ყოველგვარი გამონაცვალი, ჭიქა, ლამბაქი, თეფში, კოვზი, ძველი წინდა, ფეხსაცმელი, საცვლები და სხვა დიდი განძია.

ამ დღეებში თფილისში გაიმართება ყოველგვარი ნივთეულობის მოგროვება დაზარალებულთათვის, სათანადო კვიტანციების გაცემით.

ვისაც რა შეგიძლიათ, ვისაც რა გემეტებათ გადმოგზავნეთ თქვენს გაუბედურებულ თანამემამულეთ. ნივთების მიმღებთ ჩამოართვით კვიტანციები.

ყოველგვარი წვრილმანიც დიდის მადლობით იქნება მიღებული.

დაზარალებულთა დამხმარე მთავარი ბიურო.

მდიდარო, მიწის ძვრა ყველას ათანასწორებს! გაიღე შენი სიმდიდრიდან დაზარალებულთა მოსახმარებლად.

ბათუმი

— ქართულ ეროვნულ საბჭოსთან დაარსდა გორის მაზრაში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარე კომიტეტი რ. გ. ჯავახოვის თავმჯდომარეობით. შემოწირულების შეგროვებას უკვე შეუდგნენ. 24 თებერვალს ორი საათის განმავლობაში შეაგროვეს 391,000 მანეთი. შემოწირულება დაზარალებულთა სასარგებლოთ მიიღება „სამუსულმანო საქართველოს" რედაქციაშიც.

— საქალაქო არჩევნები მოხდება დღეს, 29 თებერვალს. იქნება ექვსი სია. პირველი ნომერი სიით გამოდის ქართველთა დემოკრატიული ჯგუფი, მეორე ნომრით—პოლონელები, მესამეთი—ებრაელები, მეოთხეთი,—ბერძნები, მეხუთეთი—სომხები და მეექვსეთი—რუსები. № 1 სიაში შეტანილია 36 სახმოსნო კანდიდატი, პირველ რიგში არიან. 1) აბაშიძე მემედ-ბეგ, 2) გოგოლაძე კაპიტონ ალექსანდრესძე, 3) აბაშიძე ზია ბეგ, 4) ელიავა გრიგორი ლავრენტისძე, 5) ჯაყელი თეოფანე ვახტანგისძე, 6) სოლორიოვი გრიგორი სტანისლავისძე 7) ქადი ზადე ისმეთ ეფენდი, 8) წულაძე ანტონ ონისიმესძე, 9) ქიქავა ჯემალ ეფენდი.

უცხოეთი

ოსმალეთი

საპროტესტო მიტინგი. კონსტანტინოპოლში გაიმართა დიდი საპროტესტო მიტინგი იმათ წინააღმდეგ, რომლებსაც განზრახვა ჰქონდათ თურქების ევროპიდან განდევნა. მიტინგში მონაწილეობას იღებდენ მოკავშირე სახელმწიფოთა ოფიცრებიც. მიტინგზე ხაზს უსვამდენ ოსმალეთ-საფრანგეთ შორის კეთილ განწყობილებას. მიტინგის ოქმი გაეგზავნა ოსმალეთის შინაგან საქმეთა მინისტრს და მოკავშირე სახელმწიფოების წარმომადგენლებს. ასეთივე მიტინგები მოხდა ოსმალეთის თითქმის ყველა ვილაეთებში.

დაპატიმრებული „იტიხადისტები". კუნძულ მალტაზე დაპატიმრებული არიან „იტტიხადის" პარტიის წევრები. „იტტიხადელებმა" ახოვნით მიმართეს ოსმალეთის მთავრობას, რათა დაჩქარებული იქნეს საქმის გარჩევა.

სოჭის ოლქში

7 თებერვალს სოჭში ზღვით მივიდა ბრიტანელი გენერალი კიზი.

გენერალი მოითხოვს გაეცნონ მას მიზეზები გლეხთა აჯანყებისა.

მას არ აკმაყოფილებს ის პასუხი, თითქოს გლეხთა უკმაყოფილებას იწვევს ათასგვარი სიმხეცე და შევიწროება დენიკინის მხრივ და მოითხოვს დამტკიცებულ იქნეს ფაქტებით [illegible] სიმხეცეს. როდესაც გენერალს უპასუხებენ, რომ ამაზე იცის მოკავშირეთა მისიებმა კავკასიაში, იცის მთელმა ქვეყანამ, გენერალი შენიშნავს, რომ ყველაფერი ეს წვრილმანია. ამაზე კომიტეტის წარმომადგენლები პროტესტს აცხადებენ და შენიშნავენ,—ნუ თუ მან, გენერალმა არ იცის რისთვის ჰმართებენ იმ აუარებელ იარაღს, რასაც ინგლისი აძლევს დენიკინს. გენ. კიზი ამბობს, რომ ინგლისი დაეხმარება ყველა მთავრობას ყოფილ რუსეთის ტერიტორიაზე, ვინც კი ბოლშევიკების წინააღმდეგ აწარმოებს ბრძოლას.

კომიტეტი აცხადებს, რომ იგი არ საჭიროებს მის შინაურ საქმეებში ვისმეს ჩარევას და იბრძვის და იბრძოლებს დენიკინელების, მოძალადების წინააღმდეგ და ეკითხება გენერალს: როგორ უყურებს ინგლისის სარდლობა გლეხთა კომიტეტს? კიზი უპასუხებს, რომ ინგლისის სარდლობა არ სცნობს შავი ზღვის მთავრობას და მასთან არც დიპლომატიურ მოლაპარაკებას აწარმოებს. კომიტეტის წარმომადგენლების კითხვაზე,—ჰგავს თუ არა მისი, კიზის, მოსვლა სოჭში, გლეხთა კომიტეტის დაკითხვათ და მისი სურვილის წინააღმდეგ, დიპლომატიურ დამოკიდებულების დამყარებას?—კიზი უპასუხებს, რომ ინგლისის მთავრობა არ სცნობს სოჭის მთავრობას, მაგრამ იგი სცნობს შავი ზღვის განმათავისუფლებელ კომიტეტს.

დახმარება მიწის ძვრისაგან დაზარალებულთ

ხონი. შეაძრწუნა გორის მაზრის მცხოვრებლებზე დამტყდარმა სტიქიურმა უბედურებამ. სასწრაფოთ შესდგა დამხმარე კომიტეტი. ხალხი მზათაა დაზარალებულთა დასახმარებლად. იმედი გვაქვს გორის მაზრა ნივთიერად უზრუნველყოფილი იქნება მოძმეთა მიერ ჯერჯერობით გაგზავნით სახელდახელოდ შეგროვილს 8,000 მანეთს. ხონის კომიტეტი.

ზესტაფონი. მაზრის ყველა მცხოვრებნი ერთსულოვნად მზათ არიან მხარში ამოუდგნენ მთავრობას იმ დიდ უბედურების გასაქარწყლებლათ, რომელიც თავს დაატყდა ქართლის გულს. შესდგა მაზრის და ქალაქის დამხმარე კომიტეტები. დგებიან ასეთივე კომიტეტები ყველა თემებში. სახელდახელოთ პირველი დახმარებისათვის შეგროვილი 255,000 მანეთი გადავგზავნეთ პირდაპირ გორში ონიაშვილის სახელზე. დღეს შევუდექით სისტემატიურად დახმარების შეგროვებას. გვწამს, რომ ხალხის ერთსულოვნება გადაიტანს ყოველივე უბედურებას. ძმური სალამი დაზარალებულ ქართლელებს. შორაპნის მაზრის ერობის თავმჯდომარე ბუაჩიძე.

ხილნალი. ქართლის დიდს ქალაქზე და მახლობელ სოფლებზე მოვლენილმა უბედურებამ თავზარი დაგვცა, უღრმესი მწუხარებით ვიზიარებთ იმ საშინელ ტანჯვას, რომელსაც ეხლა განიცდიან ჩვენი თანამემამულენი. ბაკურციხის თემის გამგეობა ყოველივე ღონისძიებით ეცდება დახმარება აღმოუჩინოს დაზარალებულთ. თემის თავმჯდომარე ვიქტორ ვაჩნაძე.

— ლიტვის წარმომადგენელმა წერილობითი მწუხარება განუცხადა საგარეო საქმეთა მინისტრს გორში მომხდარ უბედურების გამო.

— მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარე მთავარმა კომიტეტმა შემდეგი შემოწირულება მიიღო: 1) სასტუმრო „ნოე"-საგან 15,000 მან., 2) იტალიელ მოქალაქე ინჟინერ პროპოსტო და ვიტტოსაგან 50,000 მან., 3) თფილისის მე-18 უბნის მომრ.-მოსამართლესაგან 51 მან., 4) იუსტიციის სამინისტროს მოხელეთაგან 2,240 მან., 5) თფილისის მე 21 უბნის მომრ.-მოსამართლისაგან 280 მან., 6) რომის კათოლიკეთა საქველმ. საზოგადოებისაგან 2310 მანეთი, 7) საქართველოს ბერძენთა ამხ. „კავკასია-ელინისაგან" 5,000 მან., 8) რუსული კლუბისაგან 10 000 მან., 9) კლუბი უნიონისაგან 44,316 მან., 10) იოანე ღვთის მეტყველის ეკლესიისაგან 1,521 მან., 11) შავი ზღვის აქციონ. საზოგადოებისაგან 2,700 მან., 12) იტალია-კავკასიის ბანკისაგან 200,000 მან. პოლონეთის წარმომადგენელმა ოკრონოგსკიმ შეწირა 10,000 მან., ნორვეგიის კონსულის თანაშემ. ადმაიროლბელმა 2,000 მან., მუსტაფა ჩოკაევმა 5,000 მანეთი.

— 5 მარტს სახალხო სახლში გამართულ ებრაელთა მორიგი წარმოდგენის შემოსავალი გადაიდება მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ.

— ავლაბრის მუშათა კლუბის გამგეობამ დაადგინა გამართოს წარმოდგენა კვირას, 29 თებერვალს, წმინდა შემოსავალი, გადაიდება გორის მაზრაში მიწის ძვრით დაზარალებულთა სასარგებლოთ.

— 28 თებ. შესდგა კრება სახალხო გვარდიის მუშათა და მოსამსახურეთა კავშირის გამგეობისა. სხვა საკითხებს შორის იყო დასმული დღიური შეწირვის

ზღაპრულია. პური იმ დროს ღირდა, თუ შესაფერ დაწესებულებებში იყიდით, 10 მან. თავისუფალ ბაზარზე კი შავი—15 მან., თეთრი—25 მან., გირვანქა ხორცი 100—120 მან. გირვანქა კარაქი—400 მან., ათი კვერცხი—200 მანეთი.

⁂

ნოვოროსიისკი სამხედრო ბანაკათ იყო გადაქცეული. სულ ჯარისკაცები... ფიქრობდენ, სად და როგორ გავიქცეთ. ბევრ მათგანს ენატრებოდა ის საქართველო, რომელსაც თითონვე ემუქრებოდენ რამოდენიმე კვირის თუ თვის წინეთ. შემოდიოდენ ქართულ კომიტეტში და კითხულობდენ რა გზით შეიძლება თფილისში წასვლა. ერთი სულ უცნობი ოფიცერი ქუჩაში შემეკითხა, იშოვება თუ არა სადმე ყალბი პაშპორტი, რომ გავიპარო აქედანო. ეს არ არის გამონაკლისი. სიბრალულს და ზიზღს იწვევენ ერთსა და იმავე დროს. თითონ დენიკინი, როგორც პიროვნება, გაცილებით მაღლა დგას მთელ თავის ჯარზე. აქვს ერთი რწმენა და არ ჩერდება, არ კრთება, არჩევს ან სიკვდილს ან გამარჯვებას. მისი „ბრძანებები" ამ დროს გამოსული ეუბნებოდა სულით დაცემულებს, წადით, მომშორდით, თუ ბრძოლის უნარი აღარ გაქვთ, დაიმალეთ, მე მაინც ნუ მიშლით ხელსო.

ცდილობენ ზოგიერთი წრეები, რომ ამ გათახსირებულ ბრბოს ისევ სიცოცხლის ძალა დაუბრუნონ. აცხადებენ,—ვინც სულით ძლიერი ხართ ჩაეწერეთ ჯვაროსანთა რაზმში, რომელიც უნდა ებრძოლოს ბოლშევიკებს—ქრისტიანობის მტრებსო. ბლომათ ეწერებოდენ... ეს რაზმი უფრო ებრაელების ასაწიოკებლათ არის გამოსადეგი. ამ რაზმის ენერგია მარტო ცხოვრების სიძვირით არის გამოწვეული. ეს არ ვარგა არც დენიკინისათვის.

ეს ძველი რწმენის გულწრფელი თითქმის ჯარშემოცლილი იხვევს უკან და ჩერდება ყუბანის ოლქის კარებთან. აქვე აფარებენ თავს დონელებიც. აქ იკრიბებიან თერგის ოლქიდანაც. ამათ წინ დგას მწვავე საკითხი,—დაიცავენ თავს, თუ ბოლშევიკების უღელში გაებმებიან. თავს იყრის მათი უმაღლესი წარმომადგენლობა. ამ კრებაზე ისმის ადგილობრივი დემოკრატიის ხმა. ის მტრულათ ხვდება მოახლოვებულ ბოლშევიკებს და გმობს დენიკინის პოლიტიკასაც. უნდა რომ თითონ ხალხის ხელში თავდაცვის საქმე, მოიშოროს თავიდან მეფის დროის სარდალი. ამ კითხვაში ყველაზე შეურიგებელია ყუბანი, ზომიერ ხაზს ატარებს დონი, სულ ვერ მალავს დენიკინთან უთანხმოებას თერგის ოლქი. საზოგადოთ უმრავლესობა ცდილობს, რომ პოლიტიკური მართვა გამგეობა მის ხელში იქნეს ამიერიდან, დენიკინს აძლევს მარტო სამხედრო საქმეს. ჩვენ ვიცავთ მარტო ჩვენ საზღვრებს იქით არ ვებრძვით ბოლშევიკებსო. ეს აზრი აერთებდა სამივე ოლქს. რომ წაეკითხათ ამათ კრებაზე ნათქვამი სიტყვები, იფიქრებდით, ესენი ახლა დაეპატრონებიან თავის საქმეს, და შეიძლება, ამ გზით გათავდეს სამოქალაქო ომიო, მაგრამ მოვიდა დენიკინი და მისი სიტყვის გავლენით შეიცვალა ამ მაღალი კრების სულიერი განწყობილება. საქმე გათავდა ისევ თანხმობით. დაუთმო დენიკინმა, მაგრამ დაუთმეს დენიკინსაც. ყუბანის, თერგის და დონის ოლქის დემოკრატიას არ აქვს ჯერ გამაგრებული ხერხემალი. არ უნდა არც ლენინი, არც დენიკინი, მაგრამ თავის ფეხზე ვერ დგას, ეშინია დამოუკიდებლობის, აქ არის მარტო ნასახი მესამე ძალის. გაიზრდება თუ არა ეს ძალა, ჯერ არ ითქმის გადაჭრით.

სამივე ოლქის კავშირი იყურებოდა საქართველოსკენ და ფიქრობდა ამასთან როგორმე კავშირი დაეკავებინა. ხედავდენ კი რომ ეს ფიქრი ვერ შეეგუება დენიკინთან შეთანხმებულ პოლიტიკას. ხედავდენ, რომ არ შეიძლება საქართველოსთან დაკავშირება, სანამ დენიკინთან კავშირი არ გაუწყვეტიათ. ხედავდენ და მაინც ხელს გვიშლიდენ. იქნება უნდოდათ ეთქვათ ჩვენთვის, თუ დაგვიკავშირდებით, მაშინ დენიკინსაც უფრო ადვილად მოვიშორებთო.

⁂

მოვიდა ამ დროს დეპეშა საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ. დენიკინის გაზეთები სიჩუმით შეხვდენ ამ დეპეშას. აღნიშნეს მარტო, რომ თფილისში დიდებულათ იდღესასწაულესო. კადეტების ორგანო სწერდა, მოკავშირეები ამ ბოლო დროს მეტ ყურადღებას აქცევენ განაპირა ქვეყნებს, ეს აიხსნება ჩვენი ჯარის დამარცხებით, მაგრამ დღევანდელ და გარდამავალ მოვლენებზე ვერ დამყარდება სახელმწიფო პოლიტიკაო. სხვა არა უთქვამთ რა გაზეთებს. ადგილობრივ მთავრობის ნებართვით ქართულმა კომიტეტმა აღნიშნა საქართველოს დამოუკიდებლობა. ზეიმზე კი არ მოვიდენ. გუბერნიის მმართველმა წერილი გამოგზავნა, არ შემიძლია მოვიდე, რადგან ქართველმა ჯარმა სოჩის მახლობლათ შემოგვიტია, ომი დაიწყო ჩვენ წინააღმდეგო. არ მოვიდენ არც გარეშე სახელმწიფოების წარმომადგენლები. ზრდილობიანათ შემოთვალეს უარი. ამას მოითხოვდა მათი დამოკიდებულება დენიკინის მთავრობასთან.

მეორე თუ მესამე დღეს 1 გაზეთი სწერდა,—როგორც ნამდვილი წყაროებიდან გავიგეთ დენიკინმა საქართველოს ომი გამოუცხადა და მოითხოვა ქართველ წარმომადგენლის ყუბანიდან საჩქაროთ გაძევება. იმავე გაზეთში იმავე დღეს ეწერა,—დენიკინმა დაიბარა ვლადიკავკაზიდან ქართველი ელჩი ბოლშევიკების წინააღმდეგ შეთანხმებაზე მოსალაპარაკებლათო. იგივე გაზეთი გვიამბობდა იმავე დღეს, დენიკინის მთავრობა ფიქრობს, რომ საქართველო მონაწილეობას მიიღებს საერთო ბრძოლაში ჩვენ ფრონტზეო.

პრესის ამ ნაირათ გზა კვალის არევაც გამომხატველია საზოგადო დანგრევის და გათახსირების. სამოქალაქო ომი ანადგურებს რუსეთს ხორცეულათ და სულიერათ.

რუსეთიდან დაბრუნებულს საქართველო მოეჩვენება სამოთხეთ. ქართველ ხალხს გამოუჩენია დიდი შინაგანი დისციპლინა და თვით შეგნება. ამ ხალხის ხელმძღვანელებს გაუკეთებიათ დიდი ისტორიული საქმე. ლენინის ან დენიკინის რუსეთთან საქართველო ჩავარდებოდა სამოქალაქო ომის და ანარქიის უფსკრულში. საქართველოს დამოუკიდებლობას არ ადევს ნაციონალური ელფერი. ეს არის დემოკრატიზმი და არა ნაციონალიზმი. საქართველოს მაგალითი გვიმტკიცებს, რომ მარქსიზმი მოქმედობს და არა წიგნის თეორია. მარქსიზმი წინააღმდეგაც არის გამოცალკევების და მომხრეც. ორივე შემთხვევაში ის ხელმძღვანელობს საერთაშორისო დემოკრატიის ინტერესებით და კითხვას სწყვეტს ამა თუ იმ სინამდვილის პირობებში. ჩვენი დემოკრატიის ხელმძღვანელები რუსეთს არ მოშორებიან არც პარიზში, არც ლონდონში, რუსეთის დემოკრატიას არ მოშორებიან უკანასკნელ წუთამდე. მოვიდა დრო, და მოშორება აუცილებელი შეიქნა დემოკრატიის გულისთვის. საქართველოს მაგალითს აქვს დიდი პრინციპიალური მნიშვნელობა. ლენინი ამტკიცებს, რომ მისი საბჭოთა მთავრობა ერთადერთი გზაა, დემოკრატიის ფუძე ოცნება არისო. რუსეთის ბოლშევიკებმა ამ მხრივ გადაამრუნეს მარქსის თეორია. ესენი გამოვიდენ ახალ რევიზიონისტებათ. საქართველოში ვხედავთ, რომ მარქსის თეორიას არ სჭირდება ამნაირი გადაბრუნება და შესწორება. აქ საერთოდ, მთავარ ხაზზე განხორციელდა წმინდა დემოკრატიული პრინციპი.

რუსეთის დემოკრატია აჰყვა ბოლშევიკების ფეხის ხმას და დაიბნა, გზას ვეღარ ხედავს. საქართველოს მაგალითი პატარა სინათლეა მისთვის.

ს. დევდარიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორის საკითხი. გამგეობამ იქონია რა მსჯელობა გორში და მის მიდამოებში მცხოვრებლებზე დამტყდარ უბედურების შესახებ, დაადგინა: იქნას გადადებული ყველა მუშების და მოსამსახურეების მიერ გორში დაზარალებულთა სასარგებლოთ ერთი დღის ნამუშევარი თავის კუთვნილი ფულით, პურით, შაქრით და ზეთით. გამგეობამ უკვე მიიღო ზომები თავის დადგენილების სისრულეში მოსაყვანათ და იქნა შეგროვილი ფულით 45,000 მანეთი და სანოვაგე, რომელიც გაიგზავნება თავის დანიშნულებისამებრ. აგრეთვე გამგეობა თავის მხრივ მადლობას სწირავს თავის კავშირის წევრებს და იმედს გამოსთქვამს, რომ სხვა მოქალაქენიც არ ჩამორჩებიან და თავის წვლილის გაღებით დაეხმარებიან, როგორც დაზარალებულ და დასახიჩრებულ მცხოვრებლებს, ისე ჩვენი რესპუბლიკის საუკეთესო ნაწილის გორის აღდგენას.

— თფილისის კლუბების საბჭომ დაადგინა: 1) კავშირის თანხიდან 100,000 მანეთი გადასცეს გორის მაზრაში დაზარალებულთა სასარგებლოთ, გარდა იმ დახმარებისა, რომელსაც აღმოუჩენს თითოეული კლუბი ცალ ცალკე; 2) დახმარებისათვის გამართოს დიდი საღამო; 3) ლოტოდან 10 პროცენტი გადასცეს იმავე მიზნით; 4) კვირაში ერთხელ გამართოს ლოტო, რომლის წმინდა შემოსავალი გადაიდება გორისათვის; 5) გადაიდოს შესავლელი ფასი და კარტის თამაშის პროცენტები, „გორის ფონდის" სასარგებლოთ.

— თფ. საშუალო სასწავლებლის მოწაფეთაგან დაზარალებულ გორის მაზრის დამხმარე კომიტეტის მიერ შედგენილი იქნა მოწაფეთა რაზმი. რაზმის ნაწილი, რიცხვით 50 კაცი, გაემგზავრა 26 თებერვალს გორის მაზრაში. რაზმს გაჰყვენ მოწაფეთა კომიტეტის წევრნი: ლ. ზანგიანი, გ. გულუა, დ. მეჯირი და მასწავლებელი გ. გაჩეჩილაძე. აგრეთვე მოწაფეთა რაზმების გამგეობათ დარჩნენ კომიტეტის წევრნი: ვ. ჯაფარიძე და ა. ნაზაროვი. ამ დღეებში გაემგზავრება მეორე ნაწილი მოწაფეთა რაზმისა.

— ქ. თფილისის ღვინის, გასტრონომიულისა და საბაკალეო მაღაზიების მეპატრონეთა კავშირის გამგეობამ თავის სასწრაფო კრებაზე დაადგინა, შეკრიბოს თავის წევრთა შორის მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ შემოწირულებები. არჩეულ იქნა 7 კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელიც ჩამოივლის ხსენებულ მაღაზიებს.

— დაზარალებულთა სასარგებლოთ შემოწირულებას, პირველი რაიონის ქალთა ქვე კოლექტივი მიიღებს ნაძალადევის კლუბის სამკითხველოს გამგესთან 4—8 საათამდე.

— შრომის სამინისტროს მოსამსახურეებმა, რიცხვით 24 კაცმა, შეაგროვეს და გადასცეს მიწის-ძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარე მთავარ კომიტეტს ერთი დღის ჯამაგირი სამიათას ცხრაას ათი მან. (3910).

— მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ თავისი ხვედრი პური გაგზავნეს გორში შემდეგ დაწესებულებების მუშა მოსამსახურეებმა: საზოგადოება „კახეთის" მუშებმა 2 დღის ხვედრი პური სულ 3 ფუთი და 8 გირ. საკრედიტო დაწესებულების მოსამსახურეებმა 26 ფუთი და 8 გირ., სასურსათო გაწყობილების მოსამსახურეებმა 7 ფუთი და 22 ნახევარი გირ.

— ქ. გორის და მის მიდამოებში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ მთავრობის საქმეთა სამმართველოს სალაროში შევიდა შემდეგი შეწირულებანი. 1) საბადურების შრომის არტელის საზოგადოებისაგან ოცი ათასი მან. (20,000). 2) გადამაკინძებისაგან—1000 მან. 3) მომარაგების სამინისტროს მოსამსახურეთაგან—3285 მან. 4) „ამხ-ბა ძმ. კარლინსკები და კომ."—25,000 მან. 5) თფილისის ხაზინისაგან—656 მან. 6) ჯამბულიან ამინტაევებისაგან—2000 მან. 7) რესპუბლიკის „წითელი ჯვრის" კავკასიის საოლქო სამმართველოსგან—4 სახელმწიფო რენტა 2600 მანეთის ნომინალური ღირებულებისა.

— მეოთხე რაიონულმა კოლექტივმა ს. ს.-დ. მ. პ. თფ. ორგ., თავის კასისაგან, გორის მაზრის მიწის ძვრისგან დაზარალებულთა სასარგებლოთ გაიღო ათასი მანეთი და დაადგინა მოაწყოს საღამო დაზარალებულთა დასახმარებლად.

— რესპუბლიკის ჯარების სამხედრო სასამართლოს და საპროკურ. ზედამხედველობის შეერთებულმა კრებამ მოისმინა რა მოხსენება ქ. გორში და მის მიდამოებში მიწის ძვრის შესახებ, დაადგინა: 1) იმ ჯამაგირის მომატებიდან, რომელიც მათ ერგებათ გასული წლის 1 ნოემბრიდან, გადადებულ იქნეს 10% ერთდროული დახმარების სახით; 2) ყოველ თვიურათ გადადებულ იქნეს მოსამსახურეთა ჯამაგირიდან 3%, ვიდრე ამას საჭიროება მოითხოვს, 3) ვინაიდან კრებას მგონია, რომ ერთად-ერთი არსებითი დახმარება, რომელიც მიაღწევს თავის მიზანს არის კოლექტიური დახმარება შრომით, შრომის არტელთა დაარსების საშუალებით, სადაც შევლენ არა მარტო მოხალისენი, არამედ სამხედრო ვალდებულნიც კი ნაწილობრივ მობილიზაციის მოხდენის საშუალებით, კრება ადგენს: ამოირჩეულ იქნეს საორგანიზაციო კომისია, რომელსაც დაევალოს საჭირო ცნობების შეკრება, საკითხის გამორკვევა და სათანადო გეგმის შედგენა, რათა წარედგინოს იგი მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა საგანგებო კომისიას ცხოვრებაში გასატარებლად.

— „ქვრივთა და ბავშვთა დაცვის" საზოგადოებამ უცხო ქვეყნათა მისიების წარმომადგენლების საშუალებით რადიოთი შემდეგი დეპეშა დაუგზავნა ყველა ქვეყნის იმ საზოგადოებებს, რომლებიც მზრუნველობას უწევენ ბავშვებს და დედებს: „დიდი უბედურება დაატყდა თავს გორს და მის მიდამოებს. დანგრეულია ქალაქი და ბევრი სოფლები. 70,000 კაცი, ქალი და ბავშვები დარჩნენ თოვლში, უსახლკაროთ, ტანსაცმელ და საჭმელს მოკლებულნი. „ქვრივთა და ბავშვთა დაცვის" საზოგადოებას სურს დაეხმაროს უმწეოთ დარჩენილ ბავშვებს, მაგრამ მარტო ჩვენის ძალ ღონით ვერ შეძლებს უმწეოთ დარჩენილთა შემწეობას. ჩვენ მოგმართავთ თქვენ და იმედი გვაქვს არ დაიზარებთ და თქვენ ქვეყნებში მოაწყობთ შემოწირულებას ჩვენ გაუბედურებულთა სასარგებლოთ, რომელთაც ესაჭიროებათ ტანსაცმელი, საცვლები და სურსათი. ჩვენ წინასწარ გიხდით მადლობას და გთხოვთ შეკრებილი ნივთები გადასცეთ საქართველოს მისიებს, რომლებიც ჩვენ გადმოგვიგზავნიან".

„ქვრივთა და ბავშვთა დაცვის" გამგეობას იმედი აქვს, რომ უცხო ქვეყნების საზოგადოებები დაგვეხმარებიან, მაგრამ, სამწუხაროდ ეს დახმარება არ მოვა ორ თვეზე ადრე, გამგეობამ შეისყიდა ქალაქთა კოოპერატივის კავშირში 150 ნაჭერი კავკასიის შალის და დაზარალებულთა ბავშვებისათვის ტანსაცმლებს აკერვინებს. საზოგადოების გამგეობამ, გაგზავნა თავისი წარმომადგენელი გორში, მდგომარეობის გამოსარკვევად და წინადადებით მიმართა მთავრობის კომიტეტს, გადასცეს საზოგადოებას უმწეოთ დარჩენილ ბავშვების მოვლა-პატრონობა. საზოგადოება „ბავშვთა სახლში" მიიღებს 100-მდე ბავშვს. გორელ ბავშვების სასარგებლოთ სპილენძსადნობის ქარხნის დირექტორმა, შესწირა ცხენი 35,000 მან. ღირებული, რომელიც ლატარიაში გათამაშებულ იქნება. მოხმარდება დაზარალებულთ შრომის ლატარიიდან დარჩენილი 5000 მან., გოლსკის ქალისაგან 500 მან. მიიღო ამავე მიზნისთვის.

მიმართვა თფილისის ქართველ-ებრაელთა საზოგადოებისადმი.

ქართველ—ებრაელნო!

სულ ცოტა ხანია, რაც თქვენი წვლილი გაიღეთ, რუსეთში აწიოკებულ ჩვენ ძმების დასახმარებლად, ჩვენ ისიც კარგად ვიცით, თუ რამდენი შინაური ღარიბ-ღატაკნი გვახვევიან თავს და ვეძლევით მათ საკუთარი ძალით. მაგრამ ახალ უბედურებას,—თითქოს განგებას გადაუწყვეტია, არ მოეღოს ბოლო მწუხარებას და თვით სტიქიის ძალთაც კი თითქოს პირი—პირით მიუციათ, რომ გაადრმავონ ჩვენი ისედაც ღრმა მწუხარება: როგორც იცით მოხდა მეტად სამწუხარო ამბავი: ქალაქი გორი და მისი გარეშემო მდებარე სოფლები სტიქიის ძალთა მოხდით განადგურდა და აოხრდა. ჩვენი ძმები და მეზობლები ოჯახურად მოწყობილნი უბინაოდ ცის ქვეშ დარჩნენ. აშენებული ქონება შთანთქა მიწის ძვრამ, აშენებული ხალხის სიცოცხლე შეეწირა. თქვენი ზნეობრივი და მოქალაქობრივი მოვალეობაა მხურვალე თანაგრძნობა გამოსთქვათ და თვალსაჩინო დახმარება აღმოუჩინოთ თქვენ მეზობელთ და მოძმეთ, ყველამ გაიღეთ წვლილი, რომ დროზე მივაშველოთ ამ საცოდავებს, რათა კვლავ მოაწყონ თავიანთი კერა და დაუბრუნდენ ოჯახურ ცხოვრებას. ამ ტრაგიკულმა ამბავმა მთლად დაამწუხრა მოწინავე ნაწილი თფილისის ქართველ ებრაელთა საზოგადოებისა. შესდგა არსებულ თფილისის ქართველ ებრაელთა სათემო გამგეობასთან, ერთად შეერთებული სხდომა, რამდენიმე საზოგადოების წარმომადგენელთა დასწრებით, და გამოჰყვეს საგანგებო კომიტეტი თფილისის ქართველ ებრაელთა, გორისა და მის გარეშემო სოფლების მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დასახმარებლად, რომ მიიღონ შემოწირულება, და შეუდგენ ფულის მოგროვებას თფილისის ქართველ ებრაელთა შორის, ამიტომ მოგიწოდებთ თქვენ, თფილისის ქართველო ებრაელნო, თანაგრძნობით შეხვდეთ ამ კომიტეტს.

შეწირულებანი მიიღება თფილისის ქართველ ებრაელთა სათემო გამგეობის კანცელარიაში (თფ. ქართ. ებრაელთა სალოცავთან).

თფილისის ქართველ ებრაელთა სათემო გამგეობის და მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარე ერთობლივი კომიტ. თავმჯდ. ნ. ელიაშვილი.

კომიტეტის წევრები (ხელს აწერს 5 კაცი).

ქუთაისი

თანახმად მაზრის სათემო ერობების გამგეობათა და ხმოსანთა დელეგატების ყრილობაზე გამოტანილ დადგენილებისა, სამაზრო ერობის გამგეობამ დაადგინა: 1) აღიძრას შუამდგომლობა მიწათ-მოქმედების სამინისტროს წინაშე, რათა საგურიო მიწებიდან მოკრებილი ღალა სიმინდისა დარჩეს ადგილობრივ თემის განკარგულებაში იმ მიზნით, რომ აუცილებელ საჭიროების დროს დაურიგდეს ის იმ ადგილობრივ მკვიდრთ, ვისაც სიმინდი სრულებით არ ექნება ყანების დასათესად. 2) ეთხოვოს მთავრობას, რომ ერობათა კავშირის დადგენილება სასურსათო საკითხის შესახებ სასწრაფოთ იქნას გატარებული ცხოვრებაში, ვინაიდან მაზრაში სასურსათო საკითხი მწვავეთ სდგას. 3) აღიძრას შუამდგომლობა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რათა ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფა, რაც შეიძლება დაჩქარდეს, ვინაიდან, როგორც ირკვევა, მღვდლები ადგილობრივ მოსახლეობას იყენებენ თავიანთ უფლებებს და სასოფლო თემის პირებისაგან და ოჯახებისაგან მათთვის საჭირო მეტრიკების და სხვა მოწმობების მიცემის დროს მოითხოვენ დიდ საფასურს, რითაც ზარალდებიან, როგორც კერძო პირები, ისე სახელმწიფოებრივი საქმეები.

— მიწათმოქმედების სამინისტრომ კიდევ ერთი წლის ვადით გადასცა სამაზრო ერობას საექსპლოატაციოთ მაზრაში არსებული ყველა სამკურნალო წყლები.

— ქუთაისის ქალაქის საბჭოს ჯანმრთელობის კომისიამ თავის მორიგ სასწრაფო სხდომაზე დაადგინა: ქალაქში შავი სახადის გაძლიერების გამო დროებით ყველა გასართობები დაიხუროს.

— ქუთაისის სამაზრო ერობის განკარგულებით დაატუსაღეს ბაღდადის რაიონის ტყის მცველები და „ლესნიჩის" თანაშემწე დავითაშვილი. მათ ბრალი ედებათ სახაზინო ტყის გაფლანგვაში და მექრთამეობაში.

— რაიონის რკ. ნის გზის მილიციას ბრალს სდებდნენ მექრთამეობაში. თფილისიდან ჩამოსულმა კომისიამ 2 უფროსი მილიციონერი დაატუსაღა, მილიციის უფროსი კვინტრიაძე გადააყენეს, ხოლო მისი თანაშემწე ურუშაძე პასუხისგებაში მისცეს.

— ქუთაისის სამაზრო ერობის გამგეობამ 7 მარტისთვის (ახალი სტილით) დანიშნა სათემო ერობის ხმოსანთა არჩევნები შემდეგ თემებში: 1) [illegible], 2) იანეთში, 3) ეწერში, 4) კუხში, 5) გუბში, 6) [illegible], 7) ზემო-სვიმონეთში, 8) ქვედა სვიმონეთში და 9) ოფურჩხეთში.

ს.-დ. პარტიაში

ნაძალადევი. 26 თებერვალს შესდგა ჩვეულებრივი კრება საქ. სოც. დემოკ. მუშათა პარტიის მე 7 და რაიონულ კოლექტივისა.

ცენტრალურ კომიტეტიდან მოხსენება გააკეთა ამხ. ევგ. ლორიამ, რაც მიღებულ იქნა. განხილულ იქნა მუშათა კლუბის წესდება და მიეცა წინადადება ერთობლივი კომისიას მომავალ ხუთშაბათისთვის წარმოადგინოს სია მათ მიერ შეგროვილ მუშათა კლუბის წევრებისა. მოისმინეს მოხსენება კომისიის კოლექტივის მიერ დანიშნულის 27 თებერვალს მუშათა კლუბში მომხდარ ინციდენტის განსახილველათ და დაადგინეს: მიეცეს წინადადება ინციდენტის მომხდენ ამხანაგებს, რომ შემდეგში მათ მიერ არ იქნას გამეორებული მსგავსი მოქმედება. მოისმინეს მოხსენება კოლექტივის მატერიალური მდგომარეობის შესახებ და გამოირკვა, რომ შემოსავალი ვერ ფარავს გასავალს. კრებამ დაადგინა იქნას დადგმული წარმოდგენა კოლექტივის სასარგებლოთ შაბათს, 6 მარტს.

კრებამ მიიღო მხედველობაში ცხოვრების გაძვირება და დაადგინა მოამატოს კოლექტივის მდივანს ჯამაგირი თებერვლიდან 1000 მანეთი. კრებამ დაადგინა იქნას მოწვეული საერთო კრება ოთხშაბათს, 3 მარტს 3 საათზე, რომელზედაც ამხ. ნოე რამიშვილი გააკეთებს მოხსენებას. მდივანი.

მუშათა შორის

თფილისი. შაბათს, 19 თებერვალს ორთაჭალის მუშათა კლუბში გაიმართა წარმოდგენა მცირე კოლექტივის სასარგებლოთ, დადგმული იქნა „პატარა კახი". წარმოდგენა კარგათ ჩატარდა, ხალხი ბლომათ დაესწრო, რისთვისაც მადლობას უძღვნის მცირე კოლექტივი სცენის მოყვარეთ ამხ. ფიდაროვს, ამხ. გორელიძეს და ამხ. ეზიკაშვილს, რომელთაც არ დაიშურეს თავისი შრომა. აგრეთვე მადლობას სწირავთ ამხ. დათიკო პაპიშვილს, რომელმაც შემოგვწირა 100 მან და ამხ. მამულაშვილს 100 მ. წარმოდგენიდან დარჩა დაახლოვებით ათასი თუმანი.

მცირე კოლექტივის თავმჯდომარე ა. ბუზიაძე.

— —

(მიწოდება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში არსებულ თვითმართველობების და ერობების მუშა-მოსამსახურეების ორგანიზაციებს.)

ამხანაგებო! 26 თებერვალს შესდგა გაერთიანებული თათბირი საორგანიზაციო კომიტეტისა და ქუთაისიდან, ფოთიდან, თელავიდან, სიღნაღიდან, ჭიათურიდან, თფილისის ორგანიზაციიდან წარმოგზავნილ დელეგატებისა. თათბირმა გადაწყვიტა, რომ 15 მარტს მოწვეული იქნეს საქართველოს ყველა თვითმართველობების და ერობების მუშა-მოსამსახურეების ყრილობა. საარჩევნო მეტრი და დღის წესრიგი იგივე რჩება, რაც წერილობით გაცნობეთ. 5 მარტს კონფერენცია აღარ შესდგება, გამოგზავნეთ დელეგატები 15 მარტისათვის ქ. თფილისში. ქალაქის თვითმართველობაში: მუშა მოსამსახურეების ადმინისტრაციულ კომიტეტში.

ამხანაგებო, ყოველი ღონე იღონეთ, რომ ყოველი კუთხიდან გამოგზავნოთ წარმომადგენლები ამ ყრილობაზე, რადგან ბევრი მწვავე და საჭირბოროტო კითხვები გვაქვს დასასმელი.

ამხანაგური სალამით, საორგანიზაციო კომიტეტი.

პროვინცია

ფოთი. რამდენიმე თვე სრულდება რაც მტკიცე ნიადაგზე მოეწყო და დაიწყო მოქმედება „ფოთის დრამატიულმა წრემ". მართალია, ამ წრის შემადგენლობის დიდი უმეტესობა წინეთაც ემსახურებოდა სცენას ისევე გატაცებული და ისევე უანგაროთ, როგორც დღეს, მაგრამ წინეთ ის ისე ორგანიზაციულად არ გამოდიოდა როგორც ეხლა. ადგილობრივ სცენის მოყვარეთ არ ჰყავდათ გამოცდილი რეჟისორი. ეს ნაკლი მათ კიდეც შეივსეს, და მის გამახასიათებლად წრემ თბილისიდან მოიწვია რეჟისორათ მსახიობი ნიკო გვარაძე.

განათლებულმა და ორგანიზაციულად შეკავშირებულმა წრემ, 25 ოქტომბერს გახსნა სეზონი „მოწამის ტრაგედიით". ამ დღიდან დაწყებული წარმოდგენები იმართება ყოველ შაბათობით. ჯერ-ჯერობით დადგმულ იქნა პიესები: „პატარა კახი", „ქართველი დედა", „დღენი ჩვენი ცხოვრებისა", „დამთხვეული ღენერალი", „ძმის მკვლელი", „დედაძმა", „სამშობლო", „მორიელი", „ქრისტინე".

დახმარებისათვის წრემ მიმართა ქალაქის თვითმართველობას: ის მას სთხოვდა თეატრის საკითხის მოგვარებას, ვინაიდან ერთად-ერთ თეატრი „კოლმეტის" პატრონისა და წრის შორის ყოველთვის უთანხმოებას ჰქონდა ადგილი დარბაზის დაქირავების დროს. ქალაქის გამგეობამ საკითხი მოაგვარა. გამგეობამ ფულით დახმარებაც გაუწია წრეს.

სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს ფოთის საზოგადოების გულგრილობა: წარმოდგენებს ის საზოგადოთ ნაკლებად ესწრება... უნდა აღინიშნოთ, რომ ბათუმში მალე გადიხდება 35 წლის იუბილე გადასახდელად მსახიობ სტეფანე ზარიზაშვილისათვის, რომელმაც მრავალი წელი დაჰყო ბათუმში და დიდი ამაგი დასდო იქაურ სცენას. უნდა ვიფიქროთ, რომ ახლო მომავალში ფოთიც, რომლის სცენის წინაშეც მას დიდი სამსახური მიუძღვის, რითიმე აღნიშნავს მის 35 წლის სასცენო მოღვაწეობას.

ჩვეულებრივ ხალისიანად მოღვაწეობენ მრავალი წლების სცენის მოღვაწენი—ქ-ნი: ნინა ნორაკიძე და თამარა ჯაჯიაშვილი. ხანდახან, სამწუხაროდ, ამ უკანასკნელს როლები არ იციან; ეს სამწუხაროა, მაგრამ მაინც უნდა აღვნიშნოთ.

კარგს შთაბეჭდილებას სტოვებს სცენის მოღვაწე—ბ. კარიდე მაჭარაძე.

სასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებს მაყურებელზე სცენაზედ ახლად გამოსული თინა ჩარკვიანის ქალი.

საერთოდ, ჩვენი შთაბეჭდილება ისეთია, რომ ბ. ნიკო გვარაძის რეჟისორობის გამოცდილი ხელი ძლიერ დაეტყო ფოთის სცენას. მ. ჩ—ია.

წერ. რედაქციის მიმართ

აფხაზეთის კომისარიატის სტუდენტ-სტიპენდიანტთა სახელით უღრმეს მადლობას ვუცხადებთ ქალაქ თფილისის მოურავს, ბ. გ. ჩხიკვიშვილს, მისი დაუფასებელი შრომისთვის ჩვენი საერთო ბინის მოწყობაში, ქალბატონ ო. ს. სვანიშვილს და მოქ. ა. ნ. მილოვს, რომლებმაც შემოსწირეს—პირველმა—10,000 მან., მეორემ—2,000 მან. ორგანიზაციის სასარგებლოდ.

აფხაზეთის კომისარიატის სტუდენტ-სტიპენდიანტთა კავშირის გამგეობა

ფოსტა

სამტრედიის ორგანიზაციის საყურადღებოთ. ამხანაგებო, ბ-ლი ამხ. ახობაძის განცხადებისა, რომლითაც ის ითხოვს, რომ გამორკვეულ იქნას სიმართლე იმ მითქმა-მოთქმის შესახებ, რომელიც ვრცელდება სამტრედიაში (თითქოს მას გაეფლანგოს კოოპერატივის ფული) ჩვენ გადავეცით საგარეო საქმეთა მინისტრს თხოვნით, რომ შეძლებისა და გვარად გადაეგზავნა ეს განცხადება ხარბინის კოლონიის თავმჯდომარე ილიაძე ხაინდრავასთვის, რომელსაც შეუძლია სიმართლის აღდგენა.

ცეკას მდივანი ს. ცინცაძე.

განცხადებანი

ი ყ ი დ ე ბ ა
ახალაშენებული 3 სართულიანი
ს ა ხ ლ ი
მამადავითის ქუჩისა და გორის შესახვევის კუთხეში № 3, სახლი შესდგება 33 ოთახისაგან გარდა სარდაფისა. 130 ოთხკუთხედი საჟენი მიწით. ფასის გაგება შეიძლება დახურულ ბაზარში № 12. დილის 8—2 საათ. და საღამოს 4—6 საათ. (719—1—1)

გამოცდილი მასწავლებელი
ამზადებს
მოწაფეებს ყველა სასწავლებლისათვის და მოწმობაზე.
არსდება 4, 5, 6, 7
კლასების ჯგუფები; ჩაწერა 9—1 ს., 4—7 ს. მიხეილის პროს. 25 (შესავალი ალექსის ქუჩ. 5) (662—5—5)

ს ა ჩ ქ ა რ ო დ
ი ყ ი დ ე ბ ა
50 ცალი „პარტა" მისამართი: მიხეილის (პლეხანოვის) ქ 25 (შესავალი ალექსის ქ № 5) მახარიძის ბინა 9—12 ს. 4—7 ს. (662—5—5)

კბილის ექიმი
ქ. ე. ბიბინეიშვილი.
იღებს ავათმყოფებს დილის 9—2 საათ. და 4—6 საათ. ნიკოლოზის ქუჩა № 64 (566—4—3)

ე ქ ი მ ი
დიმ. კონსტ. მე ერისთავი
(ოზურგეთიდან)
იღებს ავათმყოფებს საღამოს 5—7 საათ. სასამართლოს ქუჩა № 52. (თ. 581)

ექიმი ა. [illegible]
შინაგანი და ქალთა სნეულებანი. ექიმობა და გამოკვლევა ყველა თანამედროვე საშუალებებით. სპეციალურად: გულის, ფილტვების, კუჭ ნაწლავების, [illegible] და ნერვიულ სისტემის. რენტგენისა და ელექტრო-სამკურნალო კაბინეტი. მიიღება დილის 11—12 და საღამოს 4—7 საათ. კრილოვის ქ. № 5, ბინა 3. (471)

ექიმი ა. [illegible]
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნებით „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველდღე დილით 9—11 და საღამოთი 4—6 საათამდე. მისამართი: მიხაილოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნორდ"-ს მოპირდაპირე. ტელ. 14—36. (184—თ.)

ექიმი მ. ა. [illegible]
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებათ ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე. [illegible] ქ. № 61, [illegible] ახლოს.

ე ქ ი მ ი
კ. გ. ვართანოვი
სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულებები (სიფილისი „606" და 914 შეშხაპუნებები). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ 5—7 საათ. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (თ. 546)

ელექტრო მედიცინის ექიმ. ასისტენტი მოსკოვის და კიევის უნივერსიტეტის კლინიკებისა
ვ. ზ. მეგრაბიანი
შინაგანი ავადმყოფობა, ფილტვისა და გულისა. იღებს რენტგენის ელექტრო-სამკურნალო კაბინეტში. გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით. პლევრის აპერაცია—პნევმოთორაქსი. ყოველ დღე დილის 9—12 საათ. და საღ. 5—8 საათ. ზუბალოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—93. მიწის ძვრისაგან დაზარალებულებს აქიმობს უფასოთ. (თ. 616)

ე ქ ი მ ი
ზ. ი. მირიანაშვილი
შინაგანი სნეულებანი, მიღება საღ. 5—7 საათამდე, გარდა კვირისა. ანდრონიკოვის ქუჩა, № 74. ბინა № 1. ვაგზლის აფთიაქის ახლოს. (349)

ექიმი დ. ზ. ჯავახიშვილი.
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებების ავათმყოფებს დილით 8—9 საათ. და საღამოთი 4—6 საათ. მიხეილის პროსპ. № 62. (სათავადაზნაუროს ახლოს) ტელეფ. 14—60. (თ.—3662.)

ოზურგეთში
ექიმი ა ბ ა შ ი ძ ე
ღებულობს ავათმყოფებს შინაგან სენით: ფილტვების, გულის, კუჭის და ნაწლევების, ქლების აქიმობა „ტუბერკულინით" და „ფოსფაცილინით", ვენერიული: სიფილისი და მისი შედეგები—„914" და „606" შეშხაპუნებით. ქ. სიმაშვილის სახლში. (კუმ. 60)

კერძო სამკურნალო
ექ. დონხინისა
(მუდმივი საწოლებით) მიხ. ქ. № 141 ტელეფ. 5—97 (სამხედრო სასწავლებლის წინ კინო-ტეატრ „აპოლოს" გვერდით). ყოველ გვარი სნეულებანი ავათმყოფების მიღება სრული პანსიონით. (ცალკე ოთახები) (თ. 218)

თვალის ექიმი
ზ. მ. ცხვედაძე
იღებს ავადმყოფებს დღისით 1—3 საათამდე. ივანოვსკის ქუჩა № 11. [illegible] ქუჩიდან პირველი შესახვევი. (თ. 3323)

ექიმი ვ. ა. [illegible]
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606" და „914" ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი, ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9—11 და საღამოს 5—8 საათამდე. მისამართი: [illegible] ქუჩა № 22.

ელექტრონის სადგურის კანტორის ამხ-ობა
„მეფორი"
ამით აუწყებს თავის აბონენტებს, რომ ამა წლის 1-ლ თებერვლიდან შემოღებულია ახალი მომატებული ნიხრი ელექტრონის ენერგიაზედ. რადგანაც ახალ ნიხრს ვაცხადებთ ამა თვის შუა რიცხვებში საჭიროა ანგარიშების აბონენტებისა, რომელნიც განათების ფულს წინდაწინ იხდიან, შედგენილი იყო თებერვლისათვის ძველი ნიხრით და ამიტომ ის განსხვავება, რომელიც არის გამოწვეული ახალი ნიხრის შემოღებით ჩამატებული იქნება მარტის საგანგებო ანგარიშებში.
ფულის გადახდა ელექტრონის ენერგიისათვის უნდა მოხდეს არა უგვიანეს ყოველ თვის ათ რიცხვამდის და უნდა მიეცეს ან ჩვენ ფულის ამკრებს, რომლებიც ვალდებულნი არიან წარადგინონ ანგარიში, ან უნდა შემოტანილი იქნეს ფული ელექტრონის სადგურის კანტორაში (თამამშევის ქარვასლა, სამთავრო შტაბის პირდაპირ) ვინც ფულს არ გადაიხდის თავის დროზე, ის პირი ამორიცხული იქნება აბონენტების სიიდან და თუ ისევ მოისურვა აბონენტათ ჩაწერა, მას გადახდება დამატებითი ფასი. (738—1—1)

ა ხ ა ლ ი წ ი გ ნ ი
დაიბეჭდა და გასასყიდათ გამოვიდა თ. ჟუმბურიძის ახალი წიგნი
„კრიტიკული ანუ მეცნიერული სოციალიზმი"
წიგნი არის ხაშურის ს.-დ. მ. პ. ორგან. გამოცემა, შეიცავს 104 გვერდს და ღირს 15 მანეთი; ვისაც სურს შეიძინოს ეს წიგნი მიმართონ შემდეგ ადრესზე: ხაშური, სოც.-დემ. ორგანიზაციის ბიუროში. დაკვეთა შეუძლიათ მხოლოდ ორგანიზაციებს. კომიტეტი. (ფუ. 3—3)